ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 23 (1396)

3-8 ნოემბერი, 1994 წ.

# მის აღმატებულებას გაეროს გენერალურ მდივანს ბატონ ბუტროს ბუტროს გალის

**საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა ეროვნულმა ნაწილმა მოამზადა წერილი გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს გალის სახელზე, რომლის გადაცემასაც აპირებს მისი თბილისში ვიზიტის დროს. წერილზე ხელმოწერა მიმდინარეობს. ვაქვეყნებთ ტექსტს.**

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო გენერალურო მდივანო,

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოში თქვენი ამჟამინდელი ვიზიტის ძირითადი მიზანია შეიტანოთ წვლილი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში. ვაფასებთ რა ღირსეულად თქვენს კეთილშობილურ მისიას, გვინდა თქვენი ყურადღება მივაპყროთ შემდეგს:

1. აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც დაიწყო 1992 წლის 3-4 ოქტომბერს გაგრის დაცემის შემდეგ და რომელიც დღემდე გრძელდება, რასაც დღეის მონაცემებით 30 000 ადამიანის დაღუპვა მოჰყვა, ნამდვილად **არის** გენოციდი და არ შეიძლება სხვაგვარად შეფასდეს. ქართული ეროვნების 250000 მამაკაცის, ქალის და ბავშვის გამოდევნა აფხაზეთიდან (რაც მთელი მოსახლეობის 46% შეადგენს), რაც ზემოთ აღნიშნული გენოციდის შედეგია, არის ეთნიკური წმენდა და არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს სხვაგვარად. რუსეთის ჩარევა მოვლენების მსვლელობაში, რაც გამოიხატა:

ა) კონფლიქტის მონაწილე აფხაზური მხარის მომარაგებაში იარაღით, ტყვია-წამლით, სადაზვერვო მონაცემებით, ინსტრუქტაჟით და სხვა სახის სამხედრო დახმარებით;

ბ) საქართველოში ყაბარდოელ-ადიღეელი, ჩეჩენი, რუსი (მათ შორის კაზაკი) ეროვნების შეიარაღებული ხალხის (მოხალისეების) შემოგზავნაში საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად, ან მათთვის რუსეთ-საქართველოს საზღვრის გადალახვის ნების დართვაში;

გ) რუსული რეგულარული სამხედრო მოსამსახურეების უშუალო მონაწილეობაში (სპორადულად) საბრძოლო მოქმედებებში, მაგალითად, სოხუმის დაბომბვაში (რუსეთის საპატრული ძალების მიერ, რასაც უარყოფს რუსული მხარე).

ეს არის რუსეთის შეიარაღებული აგრესია საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მხრიდან და არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს სხვაგვარად, თუ არა აგრესიად.

2) ქართველი ლტოლვილების უპირობო დაბრუნება თავიანთ საცხოვრებელ სახლებში იმისდა მიუხედავად, იღებდნენ თუ არა ისინი მონაწილეობას ომში, არის აუცილებელი წინამძღვარი პრობლემის ნებისმიერი მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის ამჟამად თუ მომავალში. ადამიანისთვის საკუთარ სახლში ცხოვრების უფლების წართმევა არის სასჯელი, რომელიც მას შეიძლება დაედოს მხოლოდ კანონით (თუ ასეთი კანონი საერთოდ არსებობს) და მხოლოდ სასამართლოს მიერ.

3) არსებობს მკვეთრი გამყოფი ხაზი საქართველოს რესპუბლიკაში აფხაზეთის სტატუსის საკითხის მისაღებ და მიუღებელ გადაწყვეტას შორის. კერძოდ, თუ აფხაზურ ხელისუფლებას ნება მიეცემა, — იურიდიულად თუ ოდენ პრაქტიკულად — არეგულიროს დემოგრაფიული პროცესები თბილისიდან კონტროლის გარეშე, იგი აფხაზეთში ჩაასახლებს დაახლოებით 50000 რუს სამხედრო მოსამსახურეს ოჯახებითურთ, კაზაკებს, ყაბარდოელებს და ადიღეებს (რომლებთანაც აფხაზებს თავისუფლად შეუძლიათ საკუთარი თავის იდენტიფიცირება, გაიგივება ეთნიკურად და ეროვნულად), ჩეჩნებს, სომხებს და სხვებს, რითაც შეგნებულად აქცევს მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიას არაქართულად. ასეთი გადაწყვეტა მიუღებელია საქართველოსთვის. თუ ამის საპირისპიროდ ყველა ლტოლვილი დაუბრუნდება თავის საცხოვრებელ ადგილს, ხოლო შემდგომ მიგრაციულ პროცესებს მკაცრად გააკონტროლებს როგორც ქართული, ისე აფხაზური მხარე, მაშინ, თუ არ იარსებებს სხვა შემაფერხებელი ფაქტორი, გადაწყვეტა იქნება მისაღები.

4. რუსეთი, რომელსაც აქვს თავისი ინტერესები ამიერკავკასიაში, არ შეიძლება იყოს მიუმხრობელი მხარე ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში. ამდენად, რუსეთს არასოდეს არ ჰქონდა და ვერც ექნება ქართველი ხალხის მანდატი ჩვენი ქვეყნის საშინაო პრობლემების გადასაწყვეტად.

5. არ არსებობს არავითარი ისტორიული საფუძველი აფხაზეთში ქართული მოსახლეობის აღმოფხვრის გასამართლებლად (თუნდაც შეიძლებოდეს ისტორიულ საფუძველზე გენოციდის გამართლება), ვინაიდან ქართული მოსახლეობა არის ავტოქტონური აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე (ხოლო გალის რაიონში ერთადერთი ავტოქტონური მოსახლეობაა). მთელი ეპიგრაფიკა ქართულია (სპორადულად ბერძნული), ამ ტერიტორიაზე სახელმწიფოებრიობა არასოდეს ყოფილა სხვაგვარი, თუ არ ქართულენოვანი, მაშინაც კი, როცა არ არსებობდა სხვა ქართულენოვანი სახელმწიფო (რასაც ჰქონდა ადგილი VIII ს-ში არაბთა ბატონობის დროს).

6. საქართველოს პარლამენტის მანდატი არა აქვს არც სახელმწიფოს მეთაურს ბატონ შევარდნაძეს, არც მის პირად წარმომადგენლებს — ბატონებს იოსელიანს, კავსაძეს და მაჭავარიანს, რომ მოლაპარაკება აწარმოონ არძინბასა და მის გუნდთან, რომელთაც ბრალი ედებათ გენოციდში და ადამიანობის წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებებში, ან რომ ხელი მოაწერონ ხელშეკრულებებს, რომელიც უფლებას აძლევს რუსეთის სამხედრო ძალებს იმოქმედონ აფხაზეთში. უფრო მეტიც, არსებობს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც პარლამენტის თანხმობის გარეშე სახელმწიფოს მეთაურს უფლება არა აქვს დანიშნოს თავისი წარმომადგენელი აღნიშნულ მოლაპარაკებებზე.

7. ცუდი მშვიდობა ნიშნავს ომს მომდევნო თაობებში, საქართველოს აღარაფერი აქვს აფხაზეთში დასაკარგავი დე ფაქტო, ამიტომ ჩვენი ქვეყნისთვის აზრი არა აქვს ცუდი მშვიდობისათვის დათმოს რაიმე დე იურე. რუსეთის წინაშე უსიტყვო კაპიტულაციის დღევანდელ პოლიტიკას არა აქვს ქართველი ერის მხარდაჭერა და საეჭვოა, მას კიდევ ერთხელ მხარი დაუჭიროს პარლამენტმაც. შეთანხმება, რომელიც ცუდი მშვიდობის მომტანი იქნება, პარლამენტში რატიფიცირებული არ იქნება პარლამენტის მიერ.

8. ჩვენ კატეგორიულ იმპერატივად მიგვაჩნია გაეროსათვის, დაიცვას მცირე ერები და მცირე ქვეყნები გენოციდისაგან, ეთნიკური წმენდისაგან და სხვა დანაშაულობებისაგან ადამიანობის წინააღმდეგ, ისევე, როგორც მათი ტერიტორიის ხელყოფისაგან, თუნდაც ეს დანაშაულობები პირდაპირ ან არაპირდაპირ, ორგანიზებული იყოს მსოფლიო ზესახელმწიფოების მიერ, რომელთა ქცევაზეც დამოკიდებულია კაცობრიობის მშვიდობა და კეთილდღეობა მთელი კაცობრიობისათვის. რადგან სამართლიანობა აბსოლუტური ფასეულობა გახლავთ, რომლის გაწირვაც არ შეიძლება, თუკი გვინდა, რომ მსოფლიო თანამეგობრობას ჰქონდეს მტკიცე მორალური და არა მხოლოდ პრაგმატული საფუძველი.

პრესკონფერენცია

# «ალდაგი» თავს იმართლებს

ჩვენი გაზეთის ა.წ. 18 ოქტომბრის ნომერში გამოვაქვეყნეთ წერილი სათაურით „ვინ დგას ხალხისათვის ამ „გამაბედნიერებელი დადგენილების უკან?“, რომელშიც წერილის ავტორი აკრიტიკებდა მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთ დადგენილებას იმის თაობაზე, რომ საქართველოში შემოტანილი ნებისმიერი ტვირთი სავალდებულო, იძულებული წესით უნდა იქნას დაზღვეული მაინცდამაინც კერძო სადაზღვევო კომპანია „ალდაგში“.

წერილის ავტორის ეს კრიტიკული შეხედულება „ალდაგისათვის“, როგორც კერძო სტრუქტურისათვის სახელმწიფოს მიერ მინიჭებული მონოპოლიური სადაზღვევო უფლებების მიმართ, როგორც ჩანს, საზოგადოების გარკვეულმა ფენამაც გაიზიარა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ „ალდაგის“ ხელმძღვანელობა იძულებული გახდა გაემართა პრესკონფერენცია ამ თემაზე. ქვემოთ გთავაზობთ რეპორტაჟს პრესკონფერენციიდან. იმედია, ჩვენზე უფრო კომპეტენტური პირები განსჯიან მტყუან-მართალს. ჩვენ „მსაჯულის ღირსებას“ არ ვიცავთ და გთავაზობთ იმ არგუმენტებსაც, რომელნიც „ალდაგის“ ხელმძღვანელობას გააჩნია.

29 ოქტომბერს ბიზნეს-კლუბში, კერძო სადაზღვევო კომპანია „ალდაგმა“ პრესკონფერენცია გამართა ჟურნალისტებისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებისათვის ფართო ინფორმაციის მიცემას ამ სამსახურის საქმიანობის შესახებ.

პრესკონფერენციას უძღვებოდა კომპანიის გენერალური დირექტორი გიორგი თავაძე. მან თქვა: საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 23 აგვისტოს №584 დადგენილებამ „საიმპორტო ტვირთების სადაზღვევო კომპანია „ალდაგში“ სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საზოგადოების დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რის გამოც ჩვენ ვალდებულნი ვართ განვაცხადოთ შემდეგი:

ამ დადგენილების მიღებამდე დაახლოებით 8 თვის განმავლობაში ჩვენი კომპანია ტრანსნაციონალურ საფინანსო ჯგუფ „მეპასთან“ ერთად ამუშავებდა პროგრამას საქართველოში იმპორტის სახით შემომავალი ტვირთების დაზღვევის შესახებ. კერძოდ:

1. საერთაშორისო სატრანზიტო გადაზიდვათა წესების მიხედვით ყველა ტვირთი ტრანსპორტირებისას ექვემდებარება აუცილებელ დაზღვევას. შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში სახელმწიფოსა თუ კერძო ფირმების მიერ საქართველოში იმპორტის სახით შემოტანილი საქონლის ტრანსპორტირება ყოველთვის იზღვევა უცხოეთის სადაზღვევო კომპანიებში, მაშინ, როდესაც დაზღვევის ხარჯები იფარება მყიდველის, ანუ საქართველოს მხარის მიერ.

2. ამ პერიოდში არც ერთ ქართულ (სახელმწიფო თუ არასახელმწიფო) სადაზღვევო კომპანიას სა-

გაგრძელება მე-2 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლიტიკური ანეკდოტების სკივრიდან

**ჟანგგაწყვეტილი** დარბის ძუკუ და სადაც ხალხმრავალ ადგილს ნახავს, ყველგან პროკლამაციებს აკრავს. ჯერ კიდევ კომუნისტების (გაურემონტებელი კომუნისტების) დროა.

სუკს არ სძინავს. ძუკუს ერთ-ერთი „კაგებეშნიკი" ფეხდაფეხ აედევნა და ფაქტზე წაასწრო — იმ დროს სტაცა ხელი, როცა ჩვენი ძუკუ მორიგ პროკლამაციას აკრავდა კედელზე.

ჰაიტ, შე შეჩვენებულო, რა არის ესო— დაჰკივლა სუკელმა და ქაღალდი ხელიდან გამოსტაცა.

პროკლამაციაა ბატონო — გაუმხილა ძუკუმ.

„კაგებეშნიკმა" გადაატრიალ-გადმოატრიალა ქაღალდი და ნახა, რომ ცარიელი იყო, ზედ არაფერი ეწერა.

— რანაირი პროკლამაციაა ძუკუ ეს — ჩაეკითხა ის.

— ჩვეულებრივი!

— ზედ რომ არაფერი წერია?

— ხალხს რომ ყვლეფთ და ატყუებთ, ქვეყანას რომ ღუპავთ, მთავრობაში რომ ჩაფარ-მილიციელები და წერაკითხვის უცოდინარი ხალხი გიზით, კუდი რომ ყავარზე გაქვთ გადებული და სინდისი, მამულიშვილობის გრძნობა რუსებისათვის მიგირავებული, ეს უნდა ეწეროს? ხალხმა ისეც ყველაფერი იცისო — უპასუხა ძუკუმ.

პოლემიკა

# ღია წერილი

## დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეს ბ-ნ ალექსი კობაიძეს

ბატონო ალექსი, 28 ოქტომბერს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნდა თქვენი მოცოდვილებული პასუხი სათაურით — „ღია წერილი ბატონებს ნოდარ გრიგალაშვილს, ნოდარ ნათაძეს"

ამასთან დაკავშირებით, მაქვს პატივი გაუწყოთ შემდეგი...

„პატივისცემით" ნოდარ გრიგალაშვილი

P.S. ალექსი, რაც აქ უნდა დამეწერა, თქვენ ისედაც შესანიშნავად უწყით, ხალხმაც ყველაფერი იცის.

თუ იმ ტექსტით, აქ რომ არ წერია, მაგრამ თავად მშვენივრად ხვდები, შეურაცხყოფილი დარჩები, შეგიძლია მიმართო სასამართლოს...

# «ალდაგი» თავს იმართლებს

პირველი გვერდიდან

ერთოდ არ დაუზღვევია და არც ჰქონია უნარი დაეზღვია საქართველოში იმპორტის სახით შემომავალი ტვირთის ტრანსპორტირება. ამან მოგვცა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალება — ქართული სადაზღვევო ბაზარი ამჟამად ამ ტიპის დაზღვევით საერთოდ არ საზრდოობს.

3. მოსამზადებელ პერიოდში საერთაშორისო სადაზღვევო ბაზარზე „ალდაგისა" და „მეპას" ერთობლივი მუშაობით შესაძლებელი გახდა დაზღვევის ისეთი პროგრამის შექმნა,რომლის მიხედვით „ალდაგს" ფინანსურ რისკში მონაწილეობის გარეშე შეუძლია აწარმოოს საიმპორტო ტვირთების გადაზღვევა მსოფლიოს პირველი კლასის გარანტიებით და სტანდარტებით და, რაც მთავარია კონკურენტუნარიანი ფასებით. გადამზღვევლებთან (ლოილის, ჯენერალი) მიღწეული იქნა, ომის რისკისა და სახალხო მღელვარების რისკის პირობაც,რაც დღესდღეობით ძალზე აქტუალურია საქართველოსათვის.

ერთადერთი მოთხოვნა „მეპასა" და გადამზღვევლების მხრიდან იყო შეკვეთების დიდი მოცულობა, ანუ გარკვეული (მინიმუმ 3 წლის) ვადით, „ალდაგის" მიერ საიმპორტო ტვირთების დაზღვევაზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება, ეს ბუნებრივია, რადგან მოცულობის შემცირება სადაზღვევო საქმიანობაში იწვევს რისკის მკვეთრ მომატებას.

ამავე დროს ეს პროგრამა „ალდაგის" მიერ ტვირთების ექსკლუზიურად დაზღვევის შემთხვევაში, ითვალისწინებს სახელმწიფოსათვის დამატებით მყარ სავალუტო შემოსავალს. კერძოდ, „ალდაგი" ძირითადი გადასახადების გარდა სახელმწიფოს გადაუხდის სადაზღვევო შემოსავლის 12%-ს მყარ ვალუტაში. ამ პროგრამის უქონლობის გამო საქართველო ადრე 5000 აშშ დოლარს კარგავდა. ბნ-მა გიორგიძ ვრცლად ისაუბრა, იმის შესახებ, თუ რას აძლევს ეს პროგრამა საქართველოს.

საქონელზე ფასის მომატების გარეშე სახელმწიფო ტვირთების იმპორტიდან იღებს დამატებით სავალუტო შემოსავალს.

სახელმწიფოს უჩნდება ქვეყანაში იმპორტის შესახებ ინფორმაციის ახალი, ალტერნატიული წყარო, რაც ასე მნიშვნელოვანია დღეს.

სახელმწიფოში იწყება ნაციონალური სადაზღვევო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, რის გარეშეც შეუძლებელია ქვეყანაში ნორმალური ეკონომიკის არსებობა.

საქართველო უკვე რეალურად იძენს სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციას. რადგან ამ პროგრამით შესაძლებელი ხდება სატრანზიტო ტვირთების დაზღვევა საქართველოს ტერიტორიის ჩათვლით,რაც დღესდღეობით ძალზედ გაძნელებულია მსოფლიოს სადაზღვევო ბაზარზე.

უცხოური გარანტიების ხარჯზე შესაძლებელი ხდება საქართველოდან მყარი ვალუტის გადინების შენელება და მისი ადგილზევე აკუმულაციის ხელშეწყობა.

ასევე ხელსაყრელია ჩვენი პირობები იმპორტიორისათვის:

მას შეუძლია დასაზღვევი ტვირთის ღირებულებისდა მიუხედავად, მიიღოს ძალზე დაბალი სადაზღვევო ტარიფი.

ტვირთი დაზღვეული ხდება ყველა რისკისაგან, ქურდობისა და ომის რისკის ჩათვლით.

ასევე მას საშუალება აქვს ტვირთი დააზღვიოს საწყობიდან საწყობამდე, ანუ გამყიდველის საწყობიდან დანიშნულების საბოლოო ადგილამდე და არა საქართველოს საზღვრამდე, როგორც ეს დღემდე ხდებოდა ძირითადად.

„ალდაგში" დაზღვევა ხდება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს ოცზე მეტ ქვეყანაში.

შემდეგ კი ისაუბრა სადაზღვევო კომპანია "ალდაგის" დირექტორმა დავით გამყრელიძემ:

ეს კომპანია ჩამოყალიბდა 1990 წელს, ჩვენ ვიყავით პირველი კერძო ერთეული ყოფილ სსრკ-ში. ის შეტანილია მსოფლიო კომპიუტერულ ქსელში, მან პირველმა ზარალი აანაზღაურა. ჩვენ შევძელით „მეპასთან" ერთად ასპროცენტიანი გადაზღვევისათვის მიგვეღწია. ჩამოყალიბებული პროგრამის შექმნას ჭირდება 7-8 თვე.ერთი წლის შემდეგ მინისტრთა კაბინეტი მოისმენს ჩვენს ანგარიშს და თუ არ დააკმაყოფილებს მის ინტერესს, ჩვენს უფლებას სხვას გადასცემს. რა შეიცვალა ქართველი იმპორტიორისათვის? მივაღწიეთ, რომ რასაც იმპორტიორი უცხოეთში იხდიდა, იმას გადაიხდის, მაგრამ ეს თანხები არ წავა უცხოეთში, ყველა საქართველოში დარჩება.

მოამზადა
ნინო ზამთარაძემ

დეპუტატობის კანდიდატი

# ლავროსი შევარდნაძე: ადგილი აქვს დაშინების, მუქარის ფაქტებს

ძვირფასო მკითხველო! გვინდა გაგაცნოთ პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი ვაკის №2 საარჩევნო ოლქიდან, უაღრესად პატიოსანი ადამიანი, მეცნიერი და პედაგოგი, ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წევრი ბატონი ლავროსი შევარდნაძე, რომელიც თავისი გამოჩენილი მოგვარის პოლიტიკურ კურსს არ იზიარებს. თუ რატომ, ამას ქვემოთ გაეცნობით.

**ლავროსი მერაბის ძე შევარდნაძე**, სპეციალობით ფიზიკოსი, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარჩინებით. ამჟამად მუშაობს აგრარული ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად, პარალელურად ასწავლის სკოლაში. არის ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. აღიზარდა ისეთ ოჯახში, რომელიც ტრადიციულად ემსახურება მეცნიერებისა და განათლების სფეროს. დედამისი, ალექსანდრა (შურა) გორგიძე გარდაცვალებამდე მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორად სამეცნიერო დარგში, მამა, მერაბ შევარდნაძე, გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ლავროსი შევარდნაძე 1989 წლიდანაა ეროვნულ მოძრაობაში. არის ქარტია-91 ერთ-ერთი დამაარსებელი. ჰყავს მეუღლე, ორი ქალიშვილი და შვილიშვილი. ამჟამად გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წევრია. იგი კენჭს იყრის ვაკის რაიონის №2 საარჩევნო ოლქში.

*

ბატონი ლავროსის კრედო აბსოლუტურად ეთანხმება გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოზიციას. მას მიაჩნია,რომ დღევანდელი ჩვენი ხელისუფლების კურსი არის უპრინციპო, რომელმაც მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე: დავკარგეთ ტერიტორიები, გავღატაკდით, ზნეობრივად დავეცით. ამაში, მისი აზრით, სახელმწიფოს მეთაურის მიერ გატარებულ საკადრო პოლიტიკასაც მიუძღვის ბრალი. ამ ბოლო ხანს მოხშირდა ორმაგი ბიოგრაფიის ადამიანები, რომლებიც ისევე ერთგულად ემსახურებიან ამ რეჟიმს, როგორც ემსახურებოდნენ წინა რეჟიმებს.

იგი თვლის,რომ სახელმწიფოს მეთაურს პიროვნული სიმამაცე და სითამამეც, რაც ედუარდ შევარდნაძემ არაერთხელ დაამტკიცა თუნდაც ხალხმრავალ სტადიონებზე, მიტინგებზე გამოსვლით, ომის პერიოდში სოხუმში ყოფნით და ა.შ., სასურველი იყო გამოეჩინა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებისას და არ უნდა დაყოლოდა უცხო, თუნდაც ჩვენზე ათასჯერ ძლიერი ქვეყნის ნებას, რის შედეგადაც დღევანდელი ჩვენი დამოუკიდებლობა ფაქტიურად, ფარატინა ქაღალდზეა დარჩენილი.

ბატონი ლავროსის აზრით, შევარდნაძე კი არ უნდა გადადგეს, არამედ მისი ერთპიროვნული მმართველობა უნდა შეიზღუდოს, ფუნქციები გადანაწილდეს ხელისუფლების სტრუქტურებს შორის და ბუნებრივია, გაუქმდეს სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, კატასტროფა გარდაუვალია. ბატონმა ედუარდმა სახელი კი შეიცვალა, მაგრამ კვლავ თუ ძველებური პოლიტიკის განხორციელებას მიჰყო ხელი, ვშიშობ ჩვენს შთამომავალთ გვარის გადაკეთება არ დასჭირდეთ მომავალშიო.

დეპუტატობის კანდიდატის აზრით, წინასაარჩევნო კამპანია ზნეობრიობის ფარგლებში უნდა მიმდინარეობდეს და დეპუტატობის კანდიდატებმა, არათუ მეტოქეთა სარეკლამო აფიშების ჩამოხევისკენ უბიძგონ თავიანთ ამომრჩევლებსა და მხარდამჭერთ, არამედ მათთან თავაზიანი შეპაექრებით დაუმტკიცონ საზოგადოებას, რომ იგი მართლაც ღირსეული კანდიდატია პარლამენტის წევრობისა, მისი თქმით, სამწუხაროდ, დღეს ადგილი აქვს მუქარის, დაშინების ფაქტებს, სარეკლამო პლაკატების გაკვრის აკრძალვებს და ა.შ.

დეპუტატობის კანდიდატი გვპირდება, რომ თუ არჩევნებში გაიმარჯვებს და გახდება პარლამენტის წევრი, იგი გვერდში დაუდგება თავის თანამოაზრეებს, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის სადეპუტატო ფრაქციის წევრებს და მათთან ერთად იბრძოლებს ქვეყნის საკეთილდღეოდ. ხოლო როგორც ვაკის რაიონის წარმომადგენელი, გულთან ახლოს მიიტანს ყველა ვაკელის ლხინსა და ჭირს.

*

**ბატონ ლავროსი შევარდნაძეს აქტიურად უჭერს მხარს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობა, ბევრი პატიოსანი ადამიანი და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ყველა ვაკელი ამომრჩეველი, ვისთვისაც ძვირფასია პატიოსნება, ზნეობა, ქვეყნის ბედი, სწორედ ლავროსი შევარდნაძეს მისცემს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა

## ზესტაფონო, ზესტაფონო, მაფია არ გშორდება...

80-იანი წლების დასაწყისიდან ერთი ასეთი სათაურის წერილი მახსენდება — „ზესტაფონს ექნება სუფთა ცა". უკვე ორი წელია ეს დაპირება 100 პროცენტით სრულდება, თუმცა, არა ფერომშენადნობ ქარხანაში ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის შედეგად, როგორც ამას მაშინ გვპირდებოდნენ, არამედ ენერგორესურსებზე არსებული დეფიციტის გამო. ფერომშენადნობთა ქარხანა, ისევე როგორც რაიონის თითქმის ყველა საწარმო არსებული სიმძლავრეების მხოლოდ 10 პროცენტით თუ მუშაობს. შედეგიც თვალში საცემია: მასიური უმუშევრობა, წელს ამინდმაც არ გაუმართლა იმერელ გლეხს. არნახულმა გვალვებმა 80—90%-ით შეამცირა მარცვლეულის მოსავალი. არ მოხერხდა მოსახლეობისაგან ყურძნის შესყიდვა. მოსახლეობის უმრავლესობა უსახსროდ და უიმედოდ ხვდება ზამთარს.

ზესტაფონში, რეალურად დასაქმებისა და რეალური შემოსავლის ერთადერთი წყარო, ადრე გადაყრილი წიდებიდან სილიკომანგანუმის მოპოვება-რეალიზაციაა. ათასობით ზესტაფონელი და მეზობელი რაიონიდან ჩამოსული ადამიანი ლითონის მოპოვებით ახერხებს შიმშილისაგან თავის დაღწევას. „უპატრონო ლითონი", როგორც მას ადგილობრივი მმართველობის გამგეობამ უწოდა, მსუყე ლუკმა აღმოჩნდა გარკვეული წრეებისათვის და მთელი საქართველოსი თუ არა, ნახევარი საქართველოს მაფია ამ ლითონით ისქელებს ისედაც დამძიმებულ ჯიბეებს. დაახლოებით 18 მილიონი დოლარის ლითონია ზესტაფონის რაიონიდან გატანილი. აქედან დაახლოებით 9 მილიონი დოლარი მოგებაა და რა მიიღო სახელმწიფო ხაზინამ ამ 9 მილიონიდან, ეს ვისაც ევალება, იმან დათვალოს.

მოსახლეობის უმრავლესობა მხოლოდ საკუთარ თავზე და საკუთარი ოჯახის გადარჩენაზე ფიქრობს, საკუთარი პრობლემებით დამძიმებულებს პოლიტიკური ამოცანებისათვის აღარ ცხელათ და ყველა ჯურის მაფიისათვის იოლად სამართავ მასას წარმოადგენს.

პოლიტიკური პარტიების ნაწილი ცდილობს წინ აღუდგეს ქაოსსა და განუკითხაობას, მაგრამ მათი მონდომება მხოლოდ „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა" რჩება. რაიონში ფუნქციონირებს პოლიტიკურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც 10 პარტიაა წარმოდგენილი. მიუხედავად არაერთი მოწვევისა, რაიონის გამგებელი და პარლამენტის წევრი ბ-ნი ჯემალ გორგოძე საბჭოს არც ერთ სხდომას არ დასწრებია. როგორც ჩანს, მას მხოლოდ თავის მორჩილ დარბაზთან მონოლოგი შეუძლია. გამგეობის წევრებს რეფორმების გატარების არც სურვილი ეტყობათ და არც უნარი. ერთადერთი, რის სურვილსაც ამჟღავნებენ და რაზეც აქტიურად მუშაობენ, ესაა ხელისუფლების და შესაბამისად ფულის შოვნის შესაძლებლობის შენარჩუნება.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ მხოლოდ ზესტაფონში შესაძლებელი იყოს საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონებისაგან კარდინალურად განსხვავებული კურსის გატარება და რაღაც გასაოცარი შედეგების მიღწევა, მაგრამ კაცური თუ იურიდიული კანონების დაცვის სურვილი ხომ მაინც უნდა იგრძნობოდეს?

**გ. ბიბილეიშვილი,**
გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურს, პარლამენტის თავმჯდომარეს ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს

ასლი — მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის საპარლამენტო კომისიას

— ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომისიას

— საქტელერადიო დეპარტამენტის თავმჯდომარეს

— გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკის", „დრონის", „7 დღის", „საქართველოს", „სარანგის", „ქართველი ერის", „ზესტაფონის მოამბის" რედაქციებს

— საპარლამენტო ფრაქციებს: „რესპუბლიკელებს", „ეროვნულ დემოკრატებს", „კონსერვატორებს".

### ზესტაფონის რ-ნში მოქმედ პოლიტიკურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოს

# მიმართვა

ვინაიდან, ზესტაფონის რ-ნის ადგილობრივი მმართველობის გამგეობა არაფრად აგდებს რ-ნის მოსახლეობის უმრავლესობის კანონიერ მოთხოვნებს, უგულვებელყოფილი და აბსოლუტურად იგნორირებულია პოლიტიკურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოს წინადადებები და შენიშვნები;

ვინაიდან, ადგილობრივი მმართველობის გამგეობამ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება, სილიკომანგანუმის მოპოვება-რეალიზაციასთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია სრული ანარქია და ქაოსი, ბიუჯეტის გვერდის ავლით ადგილი აქვს ქვეყნიდან მილიონობით დოლარის ღირებულების ლითონის გატანას, ხდება მოქალაქეთა დაავადება, დასახიჩრება და დაღუპვა;

ვინაიდან, ადგილობრივი მმართველობის გამგეობა არ მიმართავს არავითარ ქმედით ზომებს ფერომშენადნობთა ქარხნიდან ლითონის დატაცების აღსაკვეთად;

ვინაიდან, რ-ნში უაღრესად გამწვავდა კრიმინოგენული ვითარება, მასიურად ირღვევა ადამიანთა სამოქალაქო უფლებები;

ვინაიდან, რ-ნში უმძიმესი სოციალური ვითარების ფონზე, კვლავ, მოუგვარებელი რჩება მოსახლეობის პურით მომარაგების პრობლემა და არც არაფერი კეთდება ამ სფეროში წესრიგის დასამყარებლად;

ვინაიდან, სახეზე გვაქვს ადგილობრივი გამგეობის მიერ ყალბი ცნობის გაცემის ფაქტი;

ვინაიდან, ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარე, ბ-ნი ჯ. გორგოძე ავრცელებს ცილისმწამებლურ ჭორებს პოლიტიკური ორგანიზაციების პიროვნებების საქმიანობის შესახებ, არღვევს საქართველოში მოქმედ კანონთა მოთხოვნებს დეპუტატის სტატუსის სხვა საქმიანობასთან შეუთავსებლობის შესახებ;

ვინაიდან, გამგეობის თავმჯდომარე სახელმწიფოს უზენაესი ინტერესების მიღმა, წინა პლანზე აყენებს კერძო-, ვიწრო-ჯგუფურ ინტერესებს.

ჩვენ, ზესტაფონის რ-ნში მოქმედ პოლიტიკურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭო სრულ უნდობლობას ვუცხადებთ ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარეს, ბ-ნ ჯ.გორგოძეს.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი პოზიცია და ზესტაფონის რაიონში ახალი გამგებელი დანიშნოთ რაიონის სამეურნეო და პოლიტიკური აქტივის პოზიციის გათვალისწინებით.

1. საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ზესტაფონის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე — გ.ბიბილაშვილი
2. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ზესტაფონის რეგიონული განყოფილების თავმჯდომარე — დ.ხუსკივაძე
3. სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე — გ.გოგბერაშვილი
4. ედპ-ს ზესტაფონის კომიტეტის თავმჯდომარე — კ.კალაძე
5. საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ზესტაფონის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე — დ.ლამბაშიძე
6. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე — გ.აბჟანდაძე
7. საქართველოს დემოკრატიული პარტიის ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე — შ.თავაძე

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე — თ. დოლონაძე
ზესტაფონი 19.10.94 წ.

პრესკონფერენცია

## შევარდნაძის სახით დღეს საქართველოს ხელისუფალი არ ჰყავს

### - აცხადებს გიორგი ჭანტურია

27 ოქტომბერს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში ჩატარდა პრესკონფერენცია, რომელიც მოიცავდა რამოდენიმე მნიშვნელოვან საკითხს. ბ-ნ გია ჭანტურია ჟურნალისტებს ესაუბრა მოსასმენი აპარატურის სისტემა „ტე"-ს შესახებ, რომელიც ბ-ნ იგორ გიორგაძის მიერ იყო დადგმული მის კაბინეტში. კონტაქტი ანტენასა და ბ-ნ გია ჭანტურიას კაბინეტს შორის ხორციელდებოდა ამ სისტემის მეშვეობით. ბ-ნი იგორ გიორგაძე ისმენდა ინფორმაციას და გადასცემდა ბ-ნ პრიმაკოვს."ეროვნული უშიშროების სამსახურის უფროსი იგორ გიორგაძე გახლავთ რუსეთის უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი საქართველოში, რომლის დახმარებით გადიოდა ინფორმაცია საქართველოდან რუსეთში" — განაცხადა ბ-მა გია ჭანტურიამ. ნებისმიერ ქვეყანაში ასეთი დანაშაულის ჩადენისას არა მარტო იხსნება პიროვნება საპასუხისმგებლო თანამდებობიდან,არამედ კანონითაც ისჯება. იგორ გიორგაძის მოხსნა შევარდნაძის მიერ არარეალურად მიაჩნია გია ჭანტურიას. თუ არ გადაიდგმება ნაბიჯი იგორ გიორგაძის მოხსნის თაობაზე, ბ-ნი გია ჭანტურია იძულებული იქნება პრესას აცნობოს ბ-ნ იგორ გიორგაძის ზოგიერთი ევროპული ექსცესის შესახებ. პრესკონფერენციის მეორე საკითხი შეეხო არჩევნების თემას. გია ჭანტურიას მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს საკომპენსაციო სია, ჩატარდეს პროპორციული არჩევნები,შემოწმდეს კანდიდატთა,პარტიების თავმჯდომარეთა და დეპუტატთა პირადი საქმე და მათი ფსიქიატრიული მდგომარეობა. გ. ჭანტურიას აზრით, მაჟორიტარული არჩევნები დაღუპავს საქართველოს. „მაჟორიტარული არჩევნების ჩატარება ნიშნავს აგენტურ, მაფიოზური პარლამენტის მიღებას. საქართველოს რეალურად განაგებს რუსეთი და მაფია — შევარდნაძის სახით. დღეს საქართველოს ხელისუფალი არ ჰყავს — განაცხადა ბ-ნმა გია ჭანტურიამ. მას აუცილებლად მიაჩნია რიგგარეშე არჩევნების ჩატარება და კონსტიტუციის მიღება. მესამე საკითხი შეეხებოდა აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიან-დემოკრატთა კონგრესს. კონგრესი გაიხსნება 23 ნოემბერს. შეხვედრები გაიმართება პატრიარქთან, ქალაქის მერთან. სტუმრები შეხვდებიან ლტოლვილებს.

**ქეთი დავლიანიძე**

# ნუთუ ვერ ხედავთ ამქვეყნად რამდენი გონიერი კაცია?...

რომან გოცირიძე

**ჩვენი** საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინსი წერდა: „ეკონომისტებისა და პოლიტიკურ მოაზროვნეთა იდეებს — როცა ისინი მართლები არიან და როცა ცდებიან — გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ფიქრობენ. სინამდვილეში სწორედ ისინი წარმართავენ მსოფლიოს“.

მართლაც, პოლიტიკურ შეხედულებათა ქადაგებას, სწორია იგი თუ არა, ხშირად შედეგი რომ მოაქვს, ეს ჩვენი ქვეყნის ბოლო წლების მოვლენებმაც კარგად დაგვანახა. განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებიდან, იმ პერიოდიდან, როდესაც თანდათანობით ვშორდებოდით საკავშირო ცენტრის მიზიდულობის არეს, მრავალი პროცესის განვითარება უკვე ქვეყნის შიდა ძალებზე იყო დამოკიდებული. სწორედ მაშინ დაიწყო განსხვავებულ იდეათა ჭიდილი, გაჩნდა სხვადასხვა შეხედულებები იმდროინდელი პრობლემების გადაჭრის გზათა შესახებ, წარმოიშვა პოლიტიკური, ჯგუფური თუ კერძო ინტერესების დაპირისპირება. გაისმოდა ლოზუნგები, იქმნებოდა კონცეფციები თუ პროგრამები, იდეები თანდათანობით იძენდნენ მატერიალურ დატვირთვას, სიტყვას მოჰყვებოდა ქმედება, ქმედება კი აჩენდა ახალ რეალობას, ზოგჯერ კარგს, ზოგჯერ ცუდს. ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა, რომ გარემომცველი სინამდვილე იცვლება და თურმე მისი შეცვლა მნიშვნელოვნად ჩვენი, ხშირ შემთხვევაში სტიქიური მოქმედებებით იყო გამოწვეული. ეს ჩანს ახლა, ცოტა შორიდან, თუმცა ჯერ კიდევ არ ვიმყოფებით ახლო წარსული ცხოვრების სურათიდან იმ მანძილზე დაშორებულნი, საიდანაც უფრო ნათლად და ზუსტად შეიძლება მისი დანახვა და აღქმა.

საუკუნეების განმავლობაში სხვათა მიერ მართულებმა და დამოუკიდებელ მოქმედებას გადაჩვეულებმა ვერ გავაცნობიერეთ, რომ დგება დრო, როცა უკვე ჩვენს გადაწყვეტილებებზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული ბევრი რამ, რომ ყოველი მოვლენა, ქუჩის აქციები იქნებოდა ეს, მომაკვდავი კომუნისტური რეჟიმის უკანასკნელი გაბრძოლება, არჩევნები, ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლისაკენ მოწოდება, შიდა კონფლიქტები თუ პოლიტიკური ხასიათის დაპირისპირებანი, საერთაშორისო წესრიგის საწინააღმდეგო თუ მისი მიმხრობი მოწოდებები, მოკლედ ყოველივე ეს ქმნიდა ქვეყნის ცხოვრების სახეს, აყალიბებდა მის შინაგან მდგომარეობას, განსაზღვრავდა მის ბედს, მომავალს. სწორედ ეს არ იქნა და არც ეხლაა ბოლომდე გაცნობიერებული.

ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება ხასიათდებოდა ინფანტილიზმით და გულუბრყვილობით. ეს იყო სანახევროდ პოლიტიკა და სანახევროდ თამაში.

შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამომწვევი მრავალი მიზეზი ჩვენს წინააღმდეგ წარმოებული საგარეო ქმედებებითაც რომ არის ნასაზრდოები, აფხაზეთის მოვლენებმაც გამოააშკარავა. მაგრამ უამრავი რამ ხომ უშუალოდ ჩვენი შეცდომების, არაკომპეტენტურობის, ამბიციურობის, სიხარბის, მრავალ ინტერესთა (მათ შორის კერძო) დაპირისპირებით იყო გამოწვეული. როგორც არ შეიძლება უგულვებელყოფა გეოპოლიტიკურ წინააღმდეგობათა ველში მოხვედრილ პატარა ქვეყანაზე საგარეო, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედებისა, ასევე არ შეიძლება საკუთარი შესაძლებლობების შეუფასებლობის, საკუთარი ძალების სწორი მიმართულებით გამოუყენებლობისა და საკუთარი შეცდომებით გამოწვეული მარცხის მხოლოდ გარეშე ძალებზე გადაბრალება.

საკუთარი წარუმატებლობის სხვებზე გადაბრალება არ იძლევა სწორი დასკვნების გამოტანისა და შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას.

მიუხედავად მწარე გამოცდილებისა, მიუხედავად იმისა, რომ უმძიმესი დარტყმა იწვნია ქვეყანამ, დღემდე ბოლომდე მაინც არ არის გაცნობიერებული პოლიტიკური ძალების, ცალკეული პიროვნებების მიერ, იმყოფებიან თუ არა ისინი მმართველ სახელისუფლო უმრავლესობაში, უმცირესობაში თუ სხვა სახის ოპოზიციურ თუ მხარდამჭერ მდგომარეობაში, ის, რომ დღეს სწორედ ისინი განსაზღვრავენ და განაპირობებენ პროცესებს, სხვადასხვა მოვლენებს, სწორედ ისინი არიან „ქვეყნის წარმმართველნი“ (კეინსის სიტყვებით რომ ვთქვათ) სწორედ მათ მცდარ თუ არამცდარ მოქმედებაზეა დამოკიდებული მილიონობით მოქალაქის ბედი (ბუნებრივია, მმართველი პოლიტიკური ძალის ზემოქმედების წონა და პასუხისმგებლობის ხარისხი გაცილებით მეტია, ვიდრე სხვების).

საუბედუროდ, ამის არც ჩვენს პოლიტიკოსებს სჯერათ (არასრულფასოვნების კომპლექსი ფართო გაგებით) და არც ხალხს, მათ შორის, მის როგორც აქტიურ, ასევე ნაკლებადაქტიურ ინტელექტუალურ ნაწილს. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ პირდაპირ თუ არაპირდაპირ სწორედ ადგილობრივი პოლიტიკოსები განსაზღვრავენ ქვეყნის გეზს, განაპირობებენ მის მომავალს, მათ მოქმედებაზეა დამოკიდებული მრავალი ადამიანის კეთილდღეობა, დაცულობა, სიმშვიდე, და არა ვიღაც სხვაზე.

ხშირად ეს მართლაც ძნელი წარმოსადგენია სუბიექტური მომენტებიდან გამომდინარე, რაც ბადებს გაკვირვებას: „ნუთუ ამათზე უკეთესები არ არიან ამ ქვეყანაში“, უჩნდებათ კითხვა (განსაკუთრებით ალბათ მაშინ, როცა პარლამენტის სხდომებს უყურებენ), „ნუთუ ამ ოდიოზურმა პირებმა უნდა განსაზღვრონ ჩვენი ბედი? (როცა ორწიგნწაუკითხავი მთავრობის წევრი თუ პარანოიალური იდეებით შეპყრობილი პარტიული ლიდერი წარმოუდგებათ თვალწინ). პასუხი მარტივია, დიახ, ისინი განსაზღვრავენ, სამწუხაროდ — ეს ასეა. ეს არის რეალობა და ამას უნდა დანახვა და ანგარიშის გაწევა. დაბრძენებული პოლიტიკოსები ერთ წელიწადში არ იჩეკებიან. ახლადფეხადგმულ ქვეყანას გამოწრთობილი სტრატეგები დიახაც რომ მოუხდებოდა, მაგრამ გამოცდილება და პროფესიული ჩვევები ხანგრძლივი პრაქტიკის შედეგია და ამას დრო სჭირდება.

დამოუკიდებელი საზოგადოების ფორმირების ამ ეტაპზე, იმ წარსული პოლიტიკური მემკვიდრეობით, ცნობიერებითა და საკადრო კომპეტენციით, რაც ჩვენ გვერგო, დღევანდელი ვითარება ასახავს ქვეყნის პოლიტიკური სიმწიფის რეალურ დონეს, გამოხატავს იმ მდგომარეობას, რომელშიაც ვიმყოფებით.

ძველი კომუნისტური საკადრო „გვარდია“ თავისი „პარტიულ-სამეურნეო“ მრავალპროფილიანი ფორმით, განსხვავებით ზოგიერთი სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნის კადრებისაგან, სავსებით მოუმზადებელი და სუსტი, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით გარკვეულად არასაიმედოც კი აღმოჩნდა. (ბუნებრივია, არა ყველა, არამედ ნაწილი), ახალი პოლიტიკური ძალებიდან კი საკადრო შევსება ჭრელი, მოუმზადებელი და შედარებით მცირერიცხოვანია.

მოგვწონს თუ არ მოგვწონს ისინი, ვისაც დღეს პოლიტიკა მიჰყავს, სხვა საკითხია. ეს უფრო ზნეობრივი შეფასების სიბრტყეზე დევს, სინამდვილე კი სახეზეა და მისი ერთბაშად შეცვლა შეუძლებელია.

ასეთ დროს ბუნებრივად იბადება კითხვა — კი მაგრამ ხომ არიან სხვები? სად არიან ისინი? რატომ არ ჩანან? რატომ არ გამოდიან ასპარეზზე? რატომ არ აქტიურობენ უფრო ჭკვიანები, პატიოსნები, გაწონასწორებულები და ა.შ..

განვლილ პერიოდში საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა მიიღო მისმა ყველა ფენამ, მათ შორის ინტელექტუალურმა ელიტამ (ხშირად ბარიკადის სხვადასხვა მხარესაც), ზოგმა უშუალოდ როგორც პოლიტიკურმა ფუნქციონერმა, ზოგმა როგორც ამა თუ იმ ორგანიზაციის წევრმა თუ მხარდამჭერმა (მოძრაობები, პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური კლუბები, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები და ა.შ.). პოლიტიკურმა პროცესმა ვერავინ დატოვა გულგრილი და განზე. დღეს მათი დიდი ნაწილი ამა თუ იმ ფორმით საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილეა... ასე რომ, ესა ვართ, რაცა ვართ. სხვა ადამიანები ჩვენ არა გვყავს. ქვეყანა პატარაა და უნიარი გენიოსები სამწუხაროდ, არ გვეგულება (ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკოსობის მსურველნი). შესაძლოა იმ ადამიანების ნაცვლად, რომლებსაც ასე ხშირად ხედავენ, უსმენენ, და ფიგურირებენ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში, გამოჩნდნენ სხვებიც, მათზე არანაკლები კვალიფიკაციის მქონენი. ასეთები მართლაც ბლომად არიან, მაგრამ ეს იქნება პოლიტიკური გარემოს მხოლოდ მცირეოდენი გადასხვაფერება. ერთობლიობაში პოლიტიკური ისტებლიშმენტი, საზოგადოების მმართველი ელიტა ხარისხობრივად ვერ შეიცვლება. ამის შეცვლა მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა ქვეყანა გაივლის ბავშვობის პერიოდს, მიიღებს გამოცდილებას. საყმაწვილო სენი ზრდის შედეგად დაიძლევა. სწორედ მაშინ გამოვლენ თანდათანობით ასპარეზზე ახალი ძალები, ახალი ფიგურები, ახალი ზნეობის, უფრო მაღალი პროფესიული მომზადების (მათ შორის უცხოეთის სკოლაგამოვლილი და წრთობამიღებული) ადამიანები.

თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დღევანდელი მდგომარეობა ფატალურია და გაშეშებული. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თავისუფლად მივყვეთ ახლადწარმოქმნილი პოლიტიკური სპექტრის გავლენას და უკრიტიკოდ მივიღოთ მისი „ლიდერები“ და „პოლიტიკოსები“.

თანდათანობითი ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს, თუკი პოლიტიკური ცხოვრება ისე იქნება ორგანიზებული (არჩევნების, საინფორმაციო საშუალებების განთავისუფლების და სხვა ღონისძიების შედეგად), რომ დაიწყოს განახლების პროცესი, მათ შორის ახალგაზრდობის კვლავინდებურად გამოცოცხლების გზით. ასეთ პირობებში შესაძლებელია საკმაოდ მოკლე პერიოდში შეიცვალოს თუ პოლიტიკური სპექტრი არა, მისი ზნეობრივი ატმოსფერო, ხარისხობრივი შემადგენლობა.

ამ პროცესის დაჩქარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსახლეობის შეგნებულობაზეც. ბევრი რამ ამომრჩევლებზე არის დამოკიდებული. პასუხისმგებლობა ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე, თუმცა არათანაბარი დონით, ამომრჩევლებსაც ეკისრებათ და არჩეულებსაც. ამომრჩევლებს უფრო მორალური, როცა აძლევს ადამიანთა ჯგუფს ხელისუფლების ფორმირების, ქვეყნის გაძღოლის უფლებას. ძირითადი პასუხისმგებლობა, მათ შორის სამართლებრივი, ბუნებრივია იმ პოლიტიკოსებმა უნდა იკისრონ ხალხისა და კანონის წინაშე, როცა სხვათა მიერ ნდობით აღჭურვილნი ვერ ამართლებენ ამ ნდობას და ვერ ასრულებენ იმ მოვალეობას, რისთვისაც აცხადებდნენ პრეტენზიებს.

პოლიტიკოსის, სახელმწიფო მოღვაწის საქმიანობის პასუხისმგებლობის საკითხი ახლა — ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემა. სწორედ ამის შედეგია ის, რომ უპასუხისმგებლობა გახდა პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი თვისება, ხოლო დემაგოგია, დეზინფორმირება და იაფი პოპულიზმი პოლიტიკური პროცესის ძირითად ატრიბუტებად იქცა.

უპასუხისმგებლობას არც თუ იშვიათად თან ახლავს ურცხვობა და თავხედობა, ყველაფრის მკადრებლობა. დღეს მინისტრთა კაბინეტის ზოგიერთი წევრი თავისი კომპეტენციით უკეთეს შემთხვევაში კოლმეურნეობის ბრიგადირად თუ გამოდგება. ზოგიერთი პიროვნება მოურიდებლად აცხადებს პრეტენზიას იმაზე, რისი კომპეტენციაც საერთოდ არ გააჩნია. ეს გამოწვეულია არა მარტო ზნეობის დეფიციტითა და ანგარებით, არამედ საკუთარი შესაძლებლობების არაადეკვატურად შეფასების გამო.

შესაძლებლობათა გადაჭარბებული, გაზვიადებული შეფასება, ზედმეტი თვითდაჯერებულობა — ზოგიერთ შემთხვევაში პიროვნების არაჯანსაღი ფსიქიური, სულიერი თუ ემოციური მდგომარეობის მაჩვენებელია. ჩვენს პოლიტიკურ სინამდვილეში მრავალი გაუწონასწორებელი პიროვნება რომ საქმიანობს (და არც თუ მეორე პლანზე), ესეც საგულისხმო და გასათვალისწინებელი ფაქტორია.

თვითდაჯერებულობასა და [illegible] მეტი ტვირთის ზიდვის სურვილს, რომლის ძალაც არ შესწევს ადამიანს, ერთხელ ყორღანაშვილის სინდრომი ვუწოდე. ბევრს ახსოვს ვინმე ყორღანაშვილი, 1991 წელს საქართველოში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი თავი პრეზიდენტობის კანდიდატად რომ წამოაყენა. თუმცა იმ არჩევნებს არც სხვა ოდიოზური პირები აკლდა.

როგორი შინაგანი მდგომარეობა უნდა ჰქონდეს ადამიანს, როგორ უნდა აფასებდეს საკუთარ კომპეტენციას, ხასიათს, ნებას, ცოდნას, გამოცდილებას, ზნეობას, თავი ქვეყნის პრეზიდენტად რომ წარმოიდგინოს...

ასევე შეიძლება ითქვას იმ დეპუტატებზეც (თუ დეპუტატობის კანდიდატებზე), ხელისუფლების მაღალი თანამდებობის იმ პირებზეც, რომლებიც თავიანთი დაბალი პროფესიული თვისებებით კომპრომეტირებას უკეთებენ არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ ლახავენ სახელმწიფო ინსტიტუტების პრესტიჟს, იწვევენ მასობრივ უნდობლობას, უპატივცემულობას და ნიჰილიზმს ხელისუფლებისა და კანონიერების მიმართ.

პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღება შეუძლებელია მაღალპროფესიული, მაღალზნეობრივი კარგად ორგანიზებული და ქმედითუნარიანი პოლიტიკური ორგანიზაციების (პარტიების) არსებობის გარეშე. ჩვენში დამკვიდრებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თითქოს ქვეყანაში საჭიროზე მეტი რაოდენობის პარტიებია, არ არის სწორი და ვერც ვერავინ დაადგენს მათი რიცხოვნების ზუსტ მათემატიკურ ზღვარს. ის გავლენიანი პარტიები კი, რომლებიც ფაქტიურად ჩამოაყალიბებენ ხელისუფლების ბირთვს, ბუნებრივია სამომავლოდ სულ რამდენიმე დარჩება. რაც შეეხება მეორე ტენდენციას, ანტიპარტიული განწყობილების ფორმირებას, მათი საჭიროების უგულებელყოფას და მოწოდებებს მათი საქმიანობის შეწყვეტის შესახებ, არის არა მხოლოდ ცარიელ ემოციაზე აგებული მოსაზრება, არამედ მრავალი სხვა მიზეზითაც არის გამოწვეული. ასეთი შეხედულებები უკვე არათუ მცდარია, არამედ საშიშიც. პარტიები ძირითადად ასოცირდებიან როგორც დამანგრეველი და არა აღმშენებელი ძალა. ამიტომაც ობივატელისაგან ხშირად გაიგონებთ, რომ პარტიებმა დაღუპეს ქვეყანა.

ჩვენი პოლიტიკური პარტიების უვარგისობას როცა ამტკიცებენ, ეს სავსებით სწორია, როცა ამბობენ, რომ პარტიები არ გვინდაო — ძირშივე მცდარია. ძნელია თუნდაც იმის დასაბუთება, რომ ასე თუ ისე მეტნაკლები პოლიტიკური გამოცდილების მქონე პიროვნებას სჯობია ყველასათვის უცნობი ე.წ. უპარტიო, ზოგჯერ ფულით მოსყიდული, ზოგჯერ დაშინებული, ხშირად კი არაინფორმირებული ამომრჩევლის მიერ არჩეული „მაჟორიტარული“ დეპუტატები.

როცა ამტკიცებენ, პოლიტიკური პარტიები არ გვინდაო, რატომღაც არ სვამენ კითხვას, არსებობს კი საზოგადოების თვითორგანიზების რაიმე სხვა მექანიზმი დღევანდელ მსოფლიოში? (მომავალში არავინ იცის რა იქნება, თუ არ ჩავთვლით აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილ დიქტატურებს).

დღეს საქართველოში, მიუხედავად იმისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ პარტიები ასე არასიმპატიურებად გამოიყურებიან, ისინი არიან ერთადერთი ადამიანთა ორგანიზებული ნაწილი და ჩვენს პირობებში ჯერჯერობით მხოლოდ მათ შესწევთ უნარი გამოხატონ და დაიცვან ადამიანთა ფართო ჯგუფების ინტერესები და შეხედულებები მაშინ, როცა ქვეყანაში შეიმჩნევა დანაშაულებრივი კლანების, ჯგუფურ-სამეურნეო ინტერესებზე დაფუძნებული ორგანიზმების ჩასახვის პროცესი, რომელიც თანდათან ერწყმის ხელისუფლების მაღალ ეშელონებს და იძენს მაფიოზურ ნიშნებს, პარტიები რჩება ერთადერთ ძალად, რომელსაც აქვთ გაბედულება და ორგანიზებულობა, შესწევთ უნარი წინ აღუდგნენ მოვლენების ამ მიმართულებით განვითარებას.

ანტიპარტიული ნიჰილიზმის დამკვიდრებისა და პარტიების საქმიანობის კომპრომეტირების კამპანია პირველ რიგში აწყობთ კლანურ-მაფიოზური ტიპის თვითორგანიზებულ ძალებს მათ ხელისუფლებაში მოსასვლელად და საკუთარი პოლიტიკის გასატარებლად.

სამწუხაროდ, არაკომპეტენტური პარლამენტარებისა და ამბიციური პარტიული პირების იმიჯი მოსახლეობაში ბადებს საზოგადოების მართვის შესახებ არაეფექტურ, ხშირ შემთხვევაში პრიმიტიულ წარმოდგენებს, წარმოშობს ქვეყნის მოწყობისა თუ რეფორმის გულუბრყვილო მოდელებს.

ჩვენი უახლოესი ამოცანაა არჩევნების სწორად და დროულად ჩატარება. მის შედეგებზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ამა თუ იმ ქვეყანამ ისე უნდა აირჩიოს თავისი წარმომადგენლობითი ორგანო და დააკომპლექტოს მმართველი გუნდი, რასაც კარნახობს წარსული გამოცდილება, ტრადიციები, პოლიტიკური კულტურის დონე, საჯაროობის ხარისხი, ინფორმაციის საშუალებების გამოყენების თავისუფლება თუ სხვა ამოსავალი წინამძღვრები.

დღევანდელ ჩვენს პირობებში, ეკონომიკური ფაქტორებით დაწყებული, გარეშე ძალების შესაძლო ჩარევით დამთავრებული, საქართველოს მომავალი საპარლამენტო არჩევნები უნდა იყოს ან მხოლოდ პარტიული სიებით (ანუ პროპორციული) ან უკიდურეს შემთხვევაში შერეული (პროპორციული და მაჟორიტარული). მხოლოდ მაჟორიტარული წესით (ანუ ინდივიდუალურ კანდიდატთა არჩევა) ჩატარების შემთხვევაში თუ როგორ პარლამენტს მივიღებთ, ამის წარმოდგენა ძალზე მარტივია, თუკი ჩვენს ამჟამინდელ პარლამენტს ჩამოვაცილებთ პარტიული სიებით არჩეულ მის გონიერ ნაწილს (და არაგონიერსაც) და დავტოვებთ მაჟორიტარ დეპუტატებს. დიახ, ასეთი პარლამენტის წარმოდგენა ადვილია, აი, მოსმენისა კი რა მოგახსენოთ, ლოგიკურ საუბართან ზოგიერთები, რბილად რომ ვთქვათ, მწყრალად არიან.

...

ქვეყანაში კარგა ხანია არ არის საზოგადოების ერთიანობის შეგრძნება. იზრდება უკმაყოფილება და გაუცხოება. საზოგადოება პოლარიზებულია. მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებად დიფერენცირებული ადამიანები ერთმანეთს დებენ ბრალს შექმნილი მდგომარეობის გამო. ღარიბებს მდიდრებზე გადააქვთ გულისწყრომა, მომუშავეთა (თუ უმუშევრად დარჩენილები) ნაწილი კომერსანტებს და სხვა სახის კერძო მეწარმეებს ადანაშაულებენ (კომერცია თუ უწინდელი დონით არა, მაინც აღიქმება მოსახლეობის ფართო ფენების თვალში სწრაფი და არასამართლიანი გამდიდრების საშუალებად). საყოველთაო უკმაყოფილება და უნდობლობა ხელისუფლების ყველა დონის ორგანოების მიმართ (რომლებიც არა მარტო ცუდად ართმევენ თავს თავიანთ მოვალეობებს, არამედ ჩაძირული არიან კორუფციაში).

საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია თანდათანობით იკვეთება.

დაპირისპირების ნიშნები შეიმჩნევა თაობათა შორისაც.

გათიშულობის ყველაზე მთავარი მიზეზი არის პოლიტიკური ფაქტორი. პოლიტიკური ნიშნით განპირობებული დაპირისპირება განსაკუთრებულად ვლინდება წინა და ახლანდელი ხელისუფლების აშკარა მხარდამჭერთა თუ თანამგრძნობთა შორის ურთიერთდამოკიდებულებაში. გარდა ამისა, უაღრესად ჭრელი პოლიტიკური სპექტრი განსხვავებული ორიენტაციის მიმდევართა შორისაც ქმნის გაუცხოების მდგომარეობას.

საზოგადოების ასეთი დაპირისპირებისა და ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი და სტრუქტურირებული, მობილური დიდი სოციალური ჯგუფების დუღილისა და ურთიერთქმედების პირობებში თუ შეუძლებელი არა, ერთობ ძნელია მოსახლეობის უმრავლესი ნაწილისათვის მისაღები გადაწყვეტილებების მიღება. ეს სიძნელეები ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ასეთ პირობებში შეუძლებელია ქვეყანაში სრულმასშტაბიანი რეფორმების (აქ არ იგულისხმება მხოლოდ ეკონომიკა) გატარება. ამისათვის ბევრს წინაპირობად ერთიანობის შეგრძნების აღდგენა მიაჩნია, შემდეგ კი ძირეული ქმედებების დაწყება. ზოგი ამ მდგომარეობიდან გამოსვლის და რეფორმისტული ღონისძიებების გასატარებლად ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნას მიიჩნევს, რაც არ არის მოკლებული სიმართლეს. მაგრამ ეროვნული თანხმობის მთავრობის კანონიერი და დემოკრატიული წესით ჩამოყალიბება ისევ ქვეყნის მოქალაქეებზე, ამომრჩევლებზეა დამოკიდებული. დღევანდელი ელექტორატის სიჭრელე, ისევე როგორც პოლიტიკურ ძალთა მრავალფეროვნება შეუძლებელს ხდის ამ მოკლე პერიოდში ყველასათვის მისაღები ხელისუფლების ფორმირებას. სავსებით რეალურია, რომ ბევრი ძალა თუ აქტიური ფიგურები დარჩნენ ხელისუფლებითი პროცესის მიღმა.

როდესაც საზოგადოებაში არსებობს ღია ჭრილობები, მის მოშუშებას წლები სჭირდება. ქვეყანა კი ვერ დაიცდის და ვერ გაძლებს მანამდე, სანამ მოიხსნება აშკარა კონფრონტაცია, ერთი მხრივ და ჩამოყალიბდება ერთიანი ეროვნული თვითშეგნება, მეორე მხრივ. მითუმეტეს ჩვენ გვაქვს ისეთი გადასაჭრელი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები (პირველყოვლისა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა), რომელთა განხორციელებას სჭირდება დრო და რომლის მიღწევის საშუალებები და ფორმები კიდევ დიდხანს იქნება ჩვენში საკამათო.

მოვიცადოთ ქვეყნის განახლების, არსებითი ხასიათის რეფორმების გატარების დაწყება მანამ, სანამ აღნიშნული სირთულეები მოიხსნება, თუ პირიქით, დავიწყოთ მოქმედება ეხლავე, ასეთ არახელსაყრელ ვითარებაში?

უნდა ვაღიაროთ, რომ ეროვნული თანხმობა კი არ არის რეფორმების განხორციელების საფუძველი, არამედ სწორად გატარებული ცვლილებები ეკონომიკაში, პოლიტიკურ სისტემაში, ჰუმანიტარულ სფეროში. სწორედ ეს არის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების, სულიერი სიმშვიდის დამკვიდრების, სიძნელეთა მოხსნისა და საბოლოო ჯამში ერთიანობის შეგრძნების აღმოცენების საფუძველი. რეფორმების შედეგად უნდა შეიქმნას ჯანსაღი ეროვნული სახელმწიფოებრივი ქსოვილი მისი პირველადი ჯანსაღი უჯრედით — თავისუფალი მოქალაქით.

ლოზუნგი ჯერ ერთობა და პოლიტიკური კონსესუსი, შემდეგ კი რეფორმები — არის მცდარი. ამ შემთხვევაში იკარგება ძვირფასი დრო. საჭიროა ეხლავე, გადაუდებლად დაწყება ყოველმხრივი ცვლილებებისა, მათ შორის არაპოპულარული ზომების ხარჯზე. ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს ხალხისათვის დათვური სამსახურის გაწევა, როდესაც ფეხს ითრევს, დღეს გასაკეთებელს სხვალიოდ „უკეთესი პირობების" შექმნამდე დებს, საბოლოო ჯამში კი უმძიმეს დარტყმას აყენებს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, განსაკუთრებით კი მის ყველაზე დაბალშემოსავლიან და სოციალურად თითქმის დაუცველ ფენას. ფრთხილი დამოკიდებულება რადიკალური რეფორმების დაწყებისადმი შეიძლება გარკვეულ თანაგრძნობასაც იწვევდეს, ეს ადამიანთა ბედისადმი მზრუნველი (თუმცა რეალური შედეგების გათვალისწინებით მცდარი) დამოკიდებულებით რომ იყოს ნაკარნახევი. სამწუხაროდ ხელისუფლება და პირველ რიგში მისი მმართველი ჯგუფი ამას სჩადის მოსახლეობის გულისწყრომის აცილების, მათი გულისმოგების, საკუთარი „რეიტინგის" შენარჩუნების მიზნით. საბოლოო ჯამში კი ცდილობს მათი უმოქმედობით გამოწვეულ მძიმე შედეგების სხვებზე გადაბრალებას (ოპოზიცია, მტრები, მაფიოზები (?!), დადგენილებების უგულებელმყოფელები და ა.შ.), რისთვისაც მოხერხებულად იყენებს დეზინფორმაციის სახელმწიფო (ჯერ კიდევ) საშუალებებს.

ვინ უნდა დაიწყოს ნამდვილი რეფორმები (და არა მისი იმიტაცია, ნორმირებულ, ბარათებით განაწილებულ პურზე ფასის მომატებად ცნობილი)? ყველა კარგად ამჩნევს, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ამის არც უნარი გააჩნია, არც სურვილი, არც კომპეტენცია და არც ზნეობრივი უფლება (მრავალი, ყველასათვის ცნობილ მიზეზთა გამო).

გარდა არაკომპეტენტურობისა და მმართველი გუნდის მიერ ძირითადად საკუთარი, პირადი ინტერესების პრიორიტეტულად დაყენებისა საზოგადო საქმესთან შედარებით, ამ ხელისუფლებას და მის ხელმძღვანელობას აქვს ისეთი მძიმე ნაკლი, რომლის გამოსწორებას იგი თავისი ფიზიკური არსებობის განმავლობაში ვერ შეძლებს. ეს ხელისუფლება (რომლის ნაწილიც ვიყავით და დღემდე ვართ ყველა ისინი, ვინც მის ამა თუ იმ სტრუქტურებში არის წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა უმრავლესობას განეკუთვნებით თუ უმცირესობას, მმართველი ჯგუფია თუ მისი სახელისუფლო ოპოზიცია), არის ისეთი მოვლენების პირდაპირი მემკვიდრე, რომელმაც გამოიწვია ერის შუაზე გახლეჩა (აქ არ შევეხები, რომელი „მხარე" იყო მტყუანი და რომელი მართალი. ეს ცალკე საუბრის თემაა. ამ ფაქტს მე აღვნიშნავ არა შეფასების მიცემის, არამედ რეალობის დაფიქსირების თვალსაზრისით).

საქართველოში უკანასკნელ წლებში მომხდარი მოვლენების პირდაპირი თუ ირიბი მონაწილე დღეს თითქმის ყველაა, ვინც ამა თუ იმ ფორმით გამოსულია პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი საქმიანობის ასპარეზზე. ყველა ერთ სიბრტყეზე, ერთ დაფაზე იმყოფება და სხვაგან ვერსად გაიქცევა. სხვა საქართველო არ არის და ვერც ერთი „მხარე" ვერ ასცდება ერთად ცხოვრების, საქმიანობის, პოლიტიკური თანაარსებობისა და თუნდაც თანამშრომლობის აუცილებლობას (პარლამენტში ერთად ყოფნაც ერთად შრომაა). მოგვწონს თუ არ მოგვწონს ერთმანეთი, ეს ზნეობის, მორალის საკითხია. ერთად რომ უნდა ვიმოღვაწეოთ — ეს ვალდებულებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთმა ნაწილმა ბოლომდე უნდა გაიტანოს თავისი, გაანადგუროს მეორე ნაწილი. რაც ბოლშევიკური თუ ფაშისტური გამოცდილებიდან კარგად ჩანს, თუ რა დამღუპველი შედეგები მოსდევს.

მხარეთა შორის შეუწყნარებლობა და დათმობებზე წასვლის სურვილის არქონა არის ჩვენი მრავალი უბედურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

ადრე თუ გვიან ყველაფერი მოგვარდება. ასე ყოფილა ყველგან და არც ჩვენ ვიქნებით გამონაკლისები. დრო ბევრ რამეს კურნავს, ბევრ რამესაც გვასწავლის, არ მგონია ისეთი უგნურები ვიყოთ, რომ სხვების შეცდომებზე თუ არა, საკუთარ შეცდომებზე მაინც ვერ ვისწავლოთ. მაგრამ მთავარია ყველაფერი დროზე მოგვარდეს.

ამისთვის კი საჭიროა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა. პირველ რიგში აუცილებელია არჩევნების დროული ჩატარება. ყოველი მცდელობა მისი გადადებისა, რა ფილოსოფიური, პრაგმატული თუ დემაგოგიური მტკიცება უნდა ედოს საფუძვლად, უნდა იქნას განხილული, როგორც საკუთარი პრივილეგირებული მდგომარეობის, ძალაუფლების შენარჩუნებისა და ქვეყნის საერთო ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართული მოქმედება. ახლავე უნდა დაიწყოს მზადება მომავალი არჩევნების თავისუფლად, ორგანიზებულად და კანონით განსაზღვრულ ზუსტ ვადებში ჩატარებისათვის. საჭიროა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, პრესა და განსაკუთრებით სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ცალმხრივად მართული ტელევიზია გაეხსნას თავისუფალ აზრს. უნდა იქნას უზრუნველყოფილი ყველა, მეტნაკლებად გავლენიანი პოლიტიკური ძალის თავისუფალი მონაწილეობა მომავალ არჩევნებში.

მრავალ შიდა დაპირისპირებათა მიზეზების განხილვისას გასათვალისწინებელია ერთი სუბიექტური, შეიძლება ითქვას, დელიკატური მომენტი. მისი მოხსნის საკითხი უფრო ზნეობის სფეროს განეკუთვნება, ვიდრე პოლიტიკური არჩევანის შედეგად გადასაწყვეტ პრობლემას.

საქართველოში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შედეგად, როდესაც მოხდა ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით შეცვლა, საზოგადოება გათიშა არა მარტო იდეური, მსოფლმხედველობრივი პოზიციების შეუთავსებლობის შედეგად, ან თუნდა „წინა ხელისუფლების" და „ამჟამინდელი ხელისუფლების" მომხრე-მოწინააღმდეგე ბანაკად, არამედ ამა თუ იმ პიროვნებებთან სუბიექტური დამოკიდებულების თვალსაზრისითაც. პოლიტიკურ ლექსიკაში უკვე დამკვიდრდა ისეთი ცნებები, როგორიცაა „ზვიადისტი" და „ედუარდისტი".

დღეს წყალგამყოფად არა მარტო განსხვავებული შეხედულებები გვევლინებიან, არამედ ამა თუ იმ პიროვნებისადმი დამოკიდებულებაც. ცნობილ მოვლენებთან და მის შემდგომ განვითარებულ პროცესებთან განსაკუთრებით დაკავშირებულმა ადამიანებმა დღეს უკვე არა პერსონალური, არამედ რაღაც სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინეს, სახეებად იქცნენ. ისინი უკვე მოსახლეობის ფართო ფენებში აღარ აღიქმებიან როგორც ცალკე პირები, ისინი მოვლენების კონტექსტში აღიქმებიან, რაც ამძაფრებს ვნებებს, იწვევს დადებითი და უარყოფითი ემოციების პოლარიზებას, მხარდამჭერთა და მოწინააღმდეგეთა მხრიდან აგრესიულ ქმედებებს, მათ სულიერ გაუწონასწორებლობას.

ასეთ უმთავრეს სიმბოლურ ფიგურებს დღეს წარმოადგენენ ედუარდ შევარდნაძე, ჯაბა იოსელიანი, ერთის მხრივ, თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, მეორეს მხრივ. დამხობილი ხელისუფლების, მესამე მხარის ამჟამინდელი მდგომარეობის და სხვა ცნობილი მოვლენების გამო (პირველ რიგში ექსპრეზიდენტის სიკვდილი), განსაკუთრებით გამაღიზიანებელი, შეუწყნარებლად მძაფრი მასობრივი დამოკიდებულების ობიექტი ამ მხარეს უკვე ნაკლებადაა.

შიდაპოლიტიკური დაპირისპირების მოსახსნელად და ეროვნული თანხმობის მისაღწევად გადადგმული პირველი ნაბიჯები უფრო შედეგიანი იქნებოდა, რომ არა ამ ადამიანების ამჟამინდელი აქტიური პოლიტიკური საქმიანობა, ერთის მხრივ, დაპირისპირება მათ შორის, მეორეს მხრივ და რეალური ხელისუფლების უშუალო ფლობა პირველი ორის მხრიდან (და სამართლიანი პრეტენზიები მათ მიმართ, მათი მმართველობის პერიოდში წარმოებული არასწორი პოლიტიკისა და მიღებული შედეგების გამო). მათი პოლიტიკური სარბიელიდან ნებაყოფლობითი წასვლა მნიშვნელოვნად შეასუსტებდა კონფრონტაციას, შესაძლებელი გახდებოდა დიალოგი, კომპრომისები განსხვავებულ პოზიციებზე მდგომ ძალებს შორის. შესაძლებელი იქნებოდა მაგიდასთან გვერდიგვერდ დაჯდომა, განსჯა, მოლაპარაკება ძველის გახსენებისა და უსიამოვნო ასოციაციების გარეშე. შეიქმნებოდა მეტი ნდობის ატმოსფერო. ამის შემდეგ უკვე რეალური იქნებოდა საუბარი ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნის თაობაზე.

ასეთი გადაწყვეტილების მიღება არ არის ადვილი. იგი ბევრ სხვა თვისებებთან ერთად მოქალაქეობრივ გაბედულებასაც მოითხოვს, მითუმეტეს როცა შემუშავებული არ არის რაღაც გარანტიების მექანიზმი, ამ ადამიანების მომავალი თავისუფალი არაპოლიტიკური საქმიანობიდან დაწყებული, მათი პირადი უსაფრთხოებით დამთავრებული. განსაკუთრებით გაუძნელდებათ ამ ნაბიჯის გადადგმა იმ ადამიანებს, რომლებიც ქვეყანას მართავენ და რომლებზეც არის დამოკიდებული მრავალი თანამოაზრის, თანამდგომისა თუ კარის ლაქუცა მაამებლის კარიერა. ასეთი არჩევანი რომც გააკეთონ, ვეჭვობ, რომ ადვილად შეძლონ გარემოცვის კლანჭებიდან დაღწევა.

აქ არაფერს ვამბობ უიმედო ეკონომიურ მდგომარეობაში ჩავარდნილი გასაცოდავებული ადამიანების იმ ნაწილის გამოფხიზლებაზე, რომლებსაც მდგომარეობის გამოსწორებისა და მათი კეთილდღეობის გარანტად კვლავ ერთი ცალკე აღებული ლიდერი მიაჩნიათ. ასეთ ნაბიჯს თუნდაც იმ მხრივაც ექნება დადებითი მნიშვნელობა, რომ საბოლოოდ დამთავრდება საქართველოში ბელადების, იდუმალებით მოცული, ყოვლისშემძლეობის ლეგენდით დაღდასმული ხარიზმატული პირების მმართველობის ერა. დღეს, შეიძლება ითქვას, ეს ილუზიები უკვე ქრებიან ხალხის გათვითცნობიერების კვალობაზე, ეს მოვლენა მალე მხოლოდ ისტორიის გასახსენებლად თუ დაგვჭირდება, რადგან ხარიზმატულ ლიდერებს ჩამორჩენილი და დაბეჩავებული მასა წარმოშობს და საჭიროებს.

ხოლო ზოგიერთის მართლაც გულწრფელ და შეშინებულ შეკითხვაზე — "ვინ, თუ არა ის", პასუხიც არ იქნება ძნელი გასაცემი და არც ისეთ გაკვირვებას გამოიწვევს, როგორც ახლა, ამჟამად, თუნდაც ამ სტრიქონების წაკითხვის მომენტში გაუჩნდებათ: "ვინ? ვინ და ჩვენ, ბატონებო".

მიმოიხედოთ! ნუთუ ვერ ხედავთ, ამ ქვეყნად რამდენი გონიერი კაცია?!

# კონფლიქტური ზონები რუსეთსა და ახლო საზღვარგარეთ

**პოლიტიკური პროცესები რუსეთისა და ყოფილი კავშირის რესპუბლიკების ნაციონალურ რეგიონებში მეტად წინააღმდეგობრივია, მაგრამ მათი ზეგავლენით ყალიბდება მოსახლეობის განწყობილება. ჯერ არ ითქმის, რომ ხალხმა სავსებით გააცნობიერა იმის საზრისი, რაც ხდება, თუმცა ცხოვრების მიერ შექმნილი პირობები უფრო და უფრო აქტიურად უბიძგებენ შემდგომი განხეთქილების ამლაგმველ ობიექტურ ქმედებებისკენ.**

## დნესტრისპირეთი

**წლის** დასაწყისში დნესტრისპირეთი რჩებოდა ერთ-ერთ ყველაზე ცხელწერტილოვან რეგიონად, რომელიც მოსალოდნელი იყო, რომ იქცეოდა პოლიტიკური არასტაბილურობის მძლავრ ფაქტორად არა მხოლოდ მოლდავეთში, არამედ რუსეთსა და უკრაინაშიც.

მოხდა თითქმის სრული ეკონომიკური განხეთქილება დნესტრისპირეთის რესპუბლიკასა და მოლდავეთს შორის. რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოიღეს განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც ყოველგვარ შესაძლებლობას უსპობდა კიშინიოვს, მოეხდინა გავლენა რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

საკუთარი ვალუტის დაფუძნებამ შეხამჩნევად არია სამომხმარებლო ბაზრის ბალანსირება, დააქვეითა მოქალაქეთა ცხოვრების დონე. გახშირდა ნაციონალურ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტთა შემთხვევები.

ეს მოვლენები მიმდინარეობდა რფ-ის მთავრობის ფაქტიური არყოფნისა და მის შეიარაღებულ ძალთა ხელმძღვანელობის დახვეწილი სტრატეგიის ფონზე და დნესტრისპირეთის მოლდავურ რესპუბლიკასთან მიმართებაში. ერთის მხრივ, **რუსეთი ობიექტურად ეწინააღმდეგებოდა მოლდავეთის მიერ რეგიონის შთანთქმას. მეორეს მხრივ, დემონსტრაციულად იცავდა დისტანციას ტირასპოლის მთავრობასთან.**

აპრილისთვის რუსეთის კურსის კორექტირებამ და კიშინიოვსა და ტირასპოლში შიდაპოლიტიკურ თავისებურ მოვლენათა წყებამ სიტუაციის მსვლელობა ახალ კალაპოტში ჩააყენა.

გამოჩნდა კიშინიოვსა და ტირასპოლს შორის კონტაქტების განვითარების წინაპირობები. მოხდა მოწინააღმდეგე მხარეთა ლიდერების შეხვედრა, **მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება მოსალაპარაკებელი პროცესის დაწყების შესახებ დნესტრისპირეთის სამართლებრივი სტატუსის გამო,** ხელი მოაწერეს მთელ რიგ შეთანხმებებს სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში.

კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და კომპრომისის მისაღწევად უაღრესად დაინტერესებულია ორივე მხარე. უპირველეს ყოვლისა, ურთიერთმომგებიანი ეკონომიკური კავშირების განვითარების მწვავე საჭიროების გამო.

ამასთან ერთად, მეტად ნაადრევია დასკვნის გამოტანა შეუქცევადი მშვიდობიანი პროცესის შესახებ. გადამწყვეტ ფაქტორად გვევლინება რუსეთის თანამიმდევრული პოზიცია. ამის საზრისი კი მდგომარეობს მოლაპარაკების პროცესის მხარდაჭერაში, ყველა შესაძლო ეკონომიკური და პოლიტიკური საშუალებების სტიმულირებით.

## ყირიმი

**წელს** ყირიმში ჩამოყალიბდა წარმომადგენლობითი ხელისუფლების ახალი კორპუსი, აირჩიეს პრეზიდენტი. სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების შემდგომი გამყარება მთავარი ძარღვია რეგიონის პოლიტიკური განვითარებისთვის.

**ყირიმის სახელმწიფოებრიობის აღმოცენება განისაზღვრა და მჭიდროდ უკავშირდება ამ რეგიონის მცხოვრებთა მისწრაფებას — დაუბრუნდეს რუსეთის შემადგენლობას.**

ყირიმის ხელისუფალთა სწრაფვამ თანასწორი პარტნიორობისაკენ კიევთან ურთიერთობაში გამოიწვია მაისის კონფლიქტი, რომელმაც კინაღამ შეიარაღებული ხასიათი მიიღო, ახლანდელი **სიტუაცია რუსეთში, უკრაინასა და მთლიანად ესენგე—ში იმას მოწმობს, რომ ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში პირდაპირ ჩართვა ამჟამად არარეალურია. მით უმეტეს, მნიშვნელოვანია ყირიმის ხელმძღვანელობისთვის მხარდაჭერა უკრაინის ფედერალიზაციის კურსში.**

არჩევნების შემდგომ პირველ პერიოდში ყირიმის უმაღლესი საბჭოს დიდი ნაწილი მხარს უჭერდა ი.მეშკოვს. მაისის ბოლოსთვის სიტუაცია შეიცვალა, აღმოჩნდა მთელი რიგი ურთიერთწინააღმდეგობანი პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის.

მთავრობაში არაადგილობრივი ელიტის წარმომადგენელთა დანიშვნის გამო, მეშკოვს ბევრი ყოფილი მომხრე გადაუდგა. არცთუ უმნიშვნელო როლი ითამაშა ეჭვმა შესაძლო ქიშპის შესახებ ყირიმისა და რუსეთის საქმიან წრეებს შორის.

შემდგომისთვის კონფლიქტი ძალაუფლების ორ შტოს შორის გამწვავდა. მეშკოვი ითხოვდა გაცილებით ფართო უფლებამოსილებას, მის მისწრაფებას ბლოკირება გაუკეთა უმაღლესმა საბჭომ, მოიმიზეზა რა დაუმუშავებელი კანონმდებლობა, ამასთან პრეზიდენტის უფლებანი და უფლებამოსილებანიც. შეტაკებამ კონსტიტუციური ურთიერთდაპირისპირების სახე მიიღო.

ამ დავას არბიტრად უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა მოევლინა, შესთავაზა რა „ნულის ვარიანტი". მეშკოვმა მხარი დაუჭირა მას. კონფლიქტის ჩასაწყნარებლად იგი მსხვერპლად გაიღებს ევგენი საბუროვის „მოსკოვის ხელისუფლებას". შეიქმნება კოალიციური მთავრობა.

## ბალტიისპირეთი

**ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მთავრობათა პოლიტიკა 1994 წლის მანძილზე ძველებურად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ნაციონალურ ინტერესებს.**

უპირველეს ყოვლისა, საუბარია მკაცრი კურსის გატარების შესახებ, რომელმაც განსაზღვრა სრულუფლებიან მოქალაქეთა რიცხვი „ძირძველ" ნაციათა წარმომადგენლებით.

**რუსთა პრობლემა ესტონეთსა და ლატვიაში არ არის იმდენად ეთნიკური, რამდენადაც სოციალური და უმეტეს წილად პოლიტიკურიც. აშკარა იყო მისი კავშირიც რუსეთის შეიარაღებულ ძალთა პრობლემასთან რესპუბლიკებში. არმიის იქ ყოფნა აფერხებდა ნაციონალ-ექსტრემისტთა მოქმედებას.**

**სკანდალური ხასიათისაა რუსეთისადმი ტერიტორიული პრეტენზიის პრობლემა. ყველაზე უფრო აქტიურია ამ მხრივ ესტონეთი. განაწყენებულის პოზა საშუალებას აძლევს ხანგრძლივად შეინარჩუნოს დასავლეთის ყურადღება. საშუალებას აძლევს მხარი დაუჭიროს მტრის სახეს, რომელიც კამუფლირებას ახდენს უპერსპექტივო პოლიტიკური რეალობისა. საზღვრების საკითხი ყოველთვის შეიძლება გადაიქცეს რუსეთთან ვაჭრობის საგნად, მის რესურსებზე გამორჩენის მიზნით.**

**უკანასკნელი თვეების მოვლენათა განვითარება გვარწმუნებს,რომ რუსეთის პოლიტიკური კურსის გადამჭრელი ცვლილებების გარეშე ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან მიმართებაში მისი ნაციონალური ინტერესების დაცვა შეუძლებელია.**

## სიტუაცია ჩეჩნეთში

პოლიტიკური პროცესები ჩეჩნეთში მიმდინარეობს ამ რეგიონისთვის ტიპიურ ფორმებში — კლანთაშორისი ურთიერთდაპირისპირება, „ვენდეტა" და ა.შ. მაგრამ კლანებს შორის ბრძოლამ მკვეთრი ხასიათი მიიღო მთავრობასა და ოპოზიციის ურთიერთდაპირისპირებით. მომწიფდა სამოქალაქო ომის პირობები.

**მდგომარეობის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ რესპუბლიკაში ჯერჯერობით აშკარად პრორუსულად განწყობილი პოლიტიკოსები არ არიან — „კრიმინალურ აფეთქებას" არც შეეძლო მათი გაჩენა. ოპოზიცია, რომელიც აღიარებდა ჩეჩნეთს რუსეთის კუთვნილებად (როგორც აწმყოში, ასევე მომავალში) რესპუბლიკაში ჯერ არ გაფორმებულა. ამა თუ იმ ოპოზიციური ლიდერის რუსეთთან სიახლოვე აიხსნება შესაძლებლობით მისი მხარდაჭერა გამოიყენონ პირადი ძალაუფლებისათვის ბრძოლაში.**

**ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს,რომ ასეთ პირობებში სახელმწიფოთა უმეტესობა იკავებდა ან მომლოდინე პოზიციას, ან მიმართავდა ძალისმიერ მეთოდს, ან (რასაც ყველაზე ხშირად მოჰქონდა წარმატება) აყალიბებდა ოპოზიციურ ძალებს.**

## საქართველო და ქართულ-აფხაზური კონფლიქტი

**პოლიტიკური ოპოზიცია ჯერჯერობით აგებს საქართველოს პრეზიდენტთან. სამხედრო და ეკონომიკური დაახლოვება რუსეთისა და საქართველოსი, რუსეთის სამშვიდობო ჯარების შეყვანა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სარტყელში იქცა შევარდნაძის მდგომარეობის გამყარების ფაქტორებად.**

**ამჟამად, საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის მწვავე ურთიერთობის სიმძიმის ცენტრი გადატანილია. ეკონომიკაში მუდმივად კიცხავენ სამთავრობო მეურნეობის კურსს. ამას გარდა, საზოგადოებრივ აზრს უფითილებს პრეზიდენტის და დანაშაულება ლტოლვილთა აფხაზეთში დაბრუნების პროცესის გაჭიანურებაში.**

**ასობით ათას ქართველთა აფხაზეთში გამოჩენის საფრთხე აშინებს სოხუმის მმართველობას და უბიძგებს ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის გაჭიანურებისაკენ. ამას აქტიურად იყენებს ქართული მხარე,რათა აფხაზთა ხელმძღვანელობას კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების სურვილის უქონლობა დააბრალოს.**

**ლტოლვილთა დაბრუნება — აფხაზ მესვეურთა მთავარი კოზირია სუვერენიტეტის ფორმირების საკითხში, და მას გამოიყენებენ მთელი შესაძლებლობების მიხედვით.**

**რუსეთის ხელმძღვანელობის პოზიცია ჯერაც განუსაზღვრელია. როგორც ჩანს, თეზისი საქართველოს „ტერიტორიალური მთლიანობის" შესახებ ინარჩუნებს დომინირებულ მდგომარეობას რფ-ის ხელისუფალ სფეროებში.**

## ტაჯიკეთი

**ამა წლის** გაზაფხულ-ზაფხულში ტაჯიკეთის კონფლიქტი სულ უფრო და უფრო კარგავს ყოველგვარ სახეს და უახლოვდება ნამდვილ ქაოსს. მთლიანობაში სიტუაციის განვითარება შეიძლება შეედაროს იმას, რაც მოხდა ავღანეთში: საზოგადოების განხეთქილება ეთნიკური, კლანური და მემკვიდრეობითი ნიშნებითაც კი ურიცხვ მტრულად განწყობილ დაჯგუფებათა სიმრავლეებად. **საერთო აქვთ მიზეზი: მოსკოვისაგან თვითჩამოცილების რეზულტატში წარმოქმნილი სახელისუფლებო ვაკუუმი.**

დღევანდელი სიტუაციის სახე: ხელისუფლების უმწვავესი კრიზისი. დღეს ტაჯიკეთი მრავალ წვრილ ფეოდალურ სამთავროს წარმოადგენს, რომლებიც ერთმანეთთან და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ან საომარ ვითარებაში იმყოფებიან ან დროებით ტაქტიკური კავშირი დაუმყარებიათ, ისიც სამხედრო ინტერესზე დაფუძნებული.

პოლიტიკური კრიზისი. განხეთქილება მთავრობასა და ოპოზიციას შორის გამძაფრდა. რჩებიან მხოლოდ გაერთიანებები და დაჯგუფებანი კლანურ და კუთხურ საფუძველზე.

ეკონომიკური კრიზისი. ფინანსური სისტემა დარღვეულია, იგრძნობა ფულის ნიშნის მწვავე დეფიციტი. ამას უკავშირდება ვაჭრობის პარალიზება. ლონეს იკრებს მთელი სამეურნეო ცხოვრების ნატურალიზაცია. საერთო ფონს ავსებს სამრეწველო წარმოების დაშლა.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა კრიზისი. ხალხი იძულებულია მიემხროს რომელიმე ბანდიტურ ფორმირებას, რათა რამენაირად თავი დაიცვას. ეს კიდევ უფრო აღრმავებს უფსკრულს ოფიციალურ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. იმავდროულად მიმდინარეობს თვითონ ძალაუფლების კრიმინალიზაცია: უმნიშვნელოვანეს სამინისტროთა და სხვა სამთავრობო სტრუქტურათა სათავეში დგანან ყოფილი სისხლის სამართლის დამნაშავენი.

ვაფასებთ რა მიმდინარე მოვლენებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად ტაჯიკთა ურთიერთშორისი მოლაპარაკებებისა, სიტუაციის გაუმჯობესება უახლეს მომავალში მოსალოდნელი არ არის

„იზვესტია"
1994 წ. 5 ოქტომბერი.

## რედაქციისაგან

**გათიშე და იბატონე! — ყოველი იმპერიის მძლეთამძლე პრინციპი. არც წითელ იმპერიას დაუმორცხვებია ამ ფეოდალური გადმონაშთის წინაშე, რუდუნებით ატარა და ახლა СНГ-მ დაიდგა ჯილად. საიდანღაც ყურით მოთრეულ „უფროსძმურკეთილური" პრინციპით რუსეთი თავის არამკითხეობას ბუმბლავს და ძალად მაცხონეობს. თვალს ველარავის აუბამს რუსთა მახრჩობელა სიკეთე, პირველკაცობის წარსული დიდება და პატივი ტვინს უბურღავს „ძამიას", ისიც იცის, ძალა რომ აღმართს ხნავს და ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო,— ფიქრობს. რასაც ფქვავს, თვითონ განსაჯეთ.**

# საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის
# წესდება

## 1. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია (შემდგომში პარტია) შეიქმნა სამი პოლიტიკური ორგანიზაციის — სახალხო ფრონტის, ქარტია 91-ის, რესპუბლიკური პარტიის გაერთიანების საფუძველზე და წარმოადგენს მათ სამართალმემკვიდრეს.

1.2. პარტია ფუნქციონირებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

1.3. პარტია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.

1.4. პარტია თავისი მიზნების მისაღწევად იყენებს საქმიანობის მხოლოდ კონსტიტუციურ ფორმებს.

1.5. პარტიის ორგანიზაციული წყობა და საქმიანობა ეფუძნება დემოკრატიულ პრინციპებს. მიზნების მიღწევის, ამოცანების გადაჭრის გზებისა და საშუალებების განსაზღვრისას აღიარებს აზრის დამოუკიდებლობისა და მათი შესაბამისი ქმედების პლურალიზმს.

1.6. პარტიასთან, მის სტრუქტურულ ერთეულებთან შეიძლება შეიქმნას მხარდამჭერი ჯგუფები, ასოციაციები, გაერთიანებები.

1.7 პარტია არის იურიდიული პირი.

1.8. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ადგილსამყოფელია ქ.თბილისი.

## 2. პარტიის მიზნები და ამოცანები

პარტიის მიზნები და ამოცანებია:

2.1. საქართველოს პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა.

2.2. საქართველოს რეალური სუვერენიტეტის განმტკიცება; მისი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

2.3. თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შენება; სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება.

2.4. მმართველობის რესპუბლიკური ფორმის დამკვიდრება, დაცვა და განვითარება.

## 3. პარტიის წევრი

3.1. პარტიის წევრი შეიძლება იყოს 18 წელს მიღწეული საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, რომელიც აღიარებს მის წესდებასა და პროგრამას.

3.2. მოქალაქის მიღებას პარტიაში, მისი წერილობითი განცხადებისა და პარტიის წევრის რეკომენდაციის საფუძველზე აწარმოებს პარტიის ყოველი რეგიონული ორგანიზაცია, ხოლო სხვა პარტიის ყოფილი წევრების მიღებას — პოლიტიკური საბჭო; რეგიონული ორგანიზაციის გადაწყვეტილებას ამტკიცებს პოლიტიკური საბჭო.

3.3. პარტიის წევრის საალრიცხვო დოკუმენტაცია ინახება რეგიონულ ორგანიზაციასა და პოლიტიკურ საბჭოში.

3.4. პარტიის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნას პარტიის ნებისმიერ ორგანოში;

ბ) მიმართოს პარტიის ნებისმიერ ორგანოს წინადადებით, განცხადებით, საჩივრით და მიიღოს მათზე პასუხი;

გ) მიიღოს სრული ინფორმაცია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობის შესახებ;

დ) მიიღოს მონაწილეობა ყველა იმ საკითხის განხილვაში, რომელიც პირადად მას ეხება;

ე) პოლიტიკური საბჭოსთვის ან რეგიონული ორგანიზაციისათვის წერილობითი შეტყობინებით გარკვეული ვადით შეაჩეროს თავისი წევრობა პარტიაში;

ვ) თავისუფლად გავიდეს პარტიიდან; წევრი პარტიიდან გასულად ითვლება პოლიტიკურ საბჭოში ან რეგიონულ ორგანიზაციაში წერილობითი განცხადების წარდგენის დღიდან;

3.5. პარტიის წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას პარტიის წესდება;

ბ) მიიღოს მონაწილეობა პარტიის საქმიანობაში, ამასთან დაკავშირებულ ქმედების შესახებ აცნობოს ხელმძღვანელ ორგანოს;

გ) არ მიიღოს მონაწილეობა პარტიის პოლიტიკურ კურსთან შეუსაბამო საქმიანობაში;

დ) არ დაუშვას პარტიის დისკრედიტაცია თავისი მოქმედებით;

3.6. წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა უგულებელყოფისათვის პარტიის წევრს ეკისრება სასჯელი. სასჯელის დადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, პარტიული სასჯელის ზომას განსაზღვრავს რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანო ან პოლიტიკური საბჭო; რეგიონული ორგანიზაციის გადაწყვეტილებას ამტკიცებს პოლიტიკური საბჭო;

სასჯელის ზომები:

ა) გაფრთხილება;

ბ) პარტიის წევრობის შეჩერება გარკვეული ვადით;

გ) გარიცხვა;

სასჯელის გაპროტესტება შეიძლება ერთი თვის ვადაში პარტიის დარბაზში.

3.7. პარტია მორალურ-პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თავისი წევრის საქმიანობაზე კისრულობს ამ უკანასკნელის მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც პარტიის საქმიანობას განეკუთვნება.

## 4. პარტიის სტრუქტურა

4.1. პარტიის სტრუქტურული ერთეულია რეგიონული ორგანიზაცია — საქალაქო, რაიონული, ქალაქის რაიონული ორგანიზაცია.

4.2. რეგიონული ორგანიზაციის დაფუძნებაში მონაწილეობს პოლიტიკური საბჭოს წევრი; რეგიონული ორგანიზაციის შექმნას ამტკიცებს პოლიტიკური საბჭო.

4.3. რეგიონული ორგანიზაცია ტერიტორიული ნიშნის მიხედვით შეიძლება დაიყოს პირველად ჯგუფებად, რომელიც შექმნილად ითვლება, თუ მასში გაერთიანებულია სამი წევრი მაინც.

4.4. რეგიონული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა საერთო ან წარმომადგენლობითი კრება. რეგიონული ორგანიზაციის დაფუძნების წესი და შინაგანი წყობა განისაზღვრება ამ წესდებითა და რეგიონული ორგანიზაციის ტიპობრივი დებულების შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს პოლიტიკური საბჭო.

4.5. პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით რეგიონული ორგანიზაციები შეიძლება გაერთიანდნენ უფრო მსხვილ (სამხარეო და სხვა) ერთეულებად. სამხარეო ორგანიზაციის შექმნისათვის აუცილებელია მინიმუმ 3 ორგანიზაციის გაერთიანება.

4.6. რეგიონულ ორგანიზაციას პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება მიენიჭოს იურიდიული პირის უფლებები.

4.7. რეგიონული ორგანიზაცია ვალდებულია თავის სამოქმედო ტერიტორიაზე აწარმოოს პარტიის პოლიტიკური კურსის შესაბამისი საქმიანობა.

## 5. პარტიის ყრილობა.

5.1. პარტიის უმაღლესი ორგანოა პარტიის ყრილობა, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით.

5.2. რიგგარეშე ყრილობა მოიწვევა:

ა) დარბაზის გადაწყვეტილებით;

ბ) პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით რეგიონული ორგანოების ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში;

ვ) პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით საკუთარი ინიციატივით;

5.3. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა ორი მესამედი მაინც. დელეგირების ნორმებს ადგენს ყრილობის მომწვევი ორგანო.

5.4. ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე დელეგატთა უმრავლესობით, გარდა ამ წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.5. ყრილობა:

ა) ისმენს მის მიერ არჩეული ორგანოების ანგარიშებს, პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ანგარიშს და აფასებს მათ;

ბ) უფლებამოსილია მოითხოვოს პარტიის სტრუქტურული ერთეულების, სახელმწიფოს ცენტრალურ სახელისუფლებო ორგანოებში არჩეული ან დანიშნული პარტიის წევრების ანგარიშების წარდგენა;

გ) დამსწრე დელეგატთა ხმების ორი მესამედით იღებს პარტიის წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებები;

დ) შეიმუშავებს და ამტკიცებს პარტიის პროგრამას, საარჩევნო პლატფორმასა და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტებს;

ე) ადგენს პოლიტიკური საბჭოს წევრთა რაოდენობასა და ირჩევს მათ;

ვ) ირჩევს სარევიზიო კომისიის 5 წევრს; ისმენს სარევიზიო კომისიის ანგარიშს და ამტკიცებს მას;

ზ) წყვეტს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის საკითხს.

5.6. ყრილობის გადაწყვეტილება სავალდებულოა პარტიის ყოველი ორგანოს, სტრუქტურული ერთეულისა და წევრისათვის.

## 6. პარტიის დარბაზი

6.1. ყრილობებს შორის პერიოდში პარტიის უმაღლესი ორგანოა დარბაზი.

6.2. დარბაზის შემადგენლობაში შედის:

ა) პოლიტიკური საბჭოს ყველა წევრი;

ბ) პარტიის რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლები;

გ) პარლამენტში არჩეული პარტიის ყველა წევრი;

დ) დარბაზის გადაწყვეტილებით დამატებული წევრები, არაუმეტეს დარბაზის პირველადი შემადგენლობის ერთი მეათედისა.

6.3. დარბაზის მუშაობას წარმართავს დარბაზის ხელმძღვანელი;

6.4. დარბაზი:

ა) ისმენს საქართველოს პარლამენტის იმ წევრთა ანგარიშს, რომლებიც არიან პარტიის წევრები;

ბ) ისმენს პოლიტიკური საბჭოს ანგარიშს;

გ) განიხილავს პარტიის პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელ საკითხებს, იძლევა შეფასებებს და რეკომენდაციებს;

დ) ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიიდან წარსადგენ კანდიდატთა საარჩევნო სიას;

ე) პოლიტიკური საბჭოს წინადადებით აუქმებს რეგიონულ ორგანიზაციებს.

6.5. დარბაზის სხდომები ტარდება ორ თვეში ერთხელ მაინც.

6.6. რიგგარეშე სხდომას იწვევს:

ა) დარბაზის ხელმძღვანელი თავისი ინიციატივით ან დარბაზის წევრთა ერთი მეხუთედის წერილობითი მოთხოვნით.

ბ) პოლიტიკური საბჭო.

6.7. დარბაზის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ოღონდ არანაკლებ დარბაზის წევრთა სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა.

## 7. პოლიტიკური საბჭო

7.1. ყრილობებსა და დარბაზის სხდომებს შორის პარტიის საქმიანობას წარმართავს პოლიტიკური საბჭო.

7.2. პოლიტიკური საბჭო:

ა) იღებს პოლიტიკურ განცხადებებს პარტიის სახელით;

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს პარტიის მოქმედების შესახებ;

გ) ამტკიცებს რეგიონული ორგანიზაციის შექმნას; აჩერებს რეგიონული ორგანიზაციის საქმიანობას და თავის მოსაზრებებს წარუდგენს დარბაზს;

დ) ირჩევს პოლიტიკური საბჭოს მდივანს, აგრეთვე სამდივნოს წევრებსა და კომისიათა თავმჯდომარეებს;

ე) შეიმუშავებს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიიდან წარსადგენ კანდიდატთა სიას და დასამტკიცებლად წარუდგენს დარბაზს;

ვ) განიხილავს ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში პარტიის მონაწილეობის საკითხს და ამტკიცებს შესაბამის სიებს.

ზ) ქმნის შემდეგ მუდმივმოქმედ კომისიებს:

1. ეკონომიკურ საკითხთა კომისიას;

2. აგრარულ კომისიას;

3. იურიდიულ კომისიას;

4. მეცნიერებისა და განათლების კომისიას;

5. საგარეო ურთიერთობათა კომისიას;

6. ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას;

7. საარჩევნო კომისიას;

თ) ქმნის პარტიის აპარატს, პრესსამსახურს და ნიშნავს მათ ხელმძღვანელებს;

ი) აფუძნებს პარტიის ცენტრალურ ბეჭდვით ორგანოებს და ნიშნავს მათ რედაქტორებს; ამტკიცებს სარედაქციო კოლეგიას, აფუძნებს გამომცემლობას და ნიშნავს მის ხელმძღვანელს;

კ) ქმნის დროებით მუშა და დამხმარე ორგანოებს;

ლ) იწვევს რეგიონული და სამხარეო ორგანიზაციების კრებებსა და კონფერენციებს.

7.3. პოლიტიკური საბჭოს სხდომები ტარდება კვირაში ერთხელ მაინც. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის უმრავლესობა; გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებებს და სხდომის ოქმებს ხელს აწერს პოლიტიკური საბჭოს მდივანი.

7.4. პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილება სავალდებულოა პარტიის სტრუქტურული ერთეულებისა და პარტიის წევრთათვის.

7.5. პოლიტიკური საბჭოს რიგგარეშე სხდომებს იწვევს:

ა) პოლიტიკური საბჭოს მდივანი;

ბ) სამდივნო;

გ) პოლიტიკური საბჭოს წევრები სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მეხუთედისა;

რიგგარეშე სხდომა მოიწვევა მოთხოვნიდან 24 საათის განმავლობაში.

## 8. სამდივნო

8.1. პარტიის საქმიანობის ოპერატიული წარმართვისათვის იქმნება მუდმივმოქმედი ორგანო — სამდივნო.

8.2. სამდივნოს შემადგენლობაში შედიან:

ა) დარბაზის ხელმძღვანელი;

ბ) პოლიტიკური საბჭოს მდივანი;

გ) საპარლამენტო პარტიული ფრაქციის თავმჯდომარე;

დ) პოლიტიკური საბჭოს მიერ თავისი შემადგენლობიდან არჩეული სამდივნოს სამი წევრი.

8.3. სამდივნოს რეგლამენტს შეიმუშავებს სამდივნო და ამტკიცებს პოლიტიკური საბჭო;

8.4. სამდივნოს რეგლამენტი განსაზღვრავს სამდივნოს არჩეული წევრების ფუნქციებს.

## 9. სარევიზიო კომისია

9.1. სარევიზიო კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები.

9.2. სარევიზიო კომისია აკონტროლებს პარტიის წევრებისა და ორგანოების მიერ პარტიის წესდების დაცვას, პარტიის საფინანსო საქმიანობას.

9.3. სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებისათვის აუცილებელია მინიმუმ 3 წევრის თანხმობა.

9.4. სარევიზიო კომისია ვალდებულია გააცნოს თავისი დასკვნა იმ ორგანოს ან წევრს, რომელსაც იგი ეხება.

9.5. სარევიზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პარტიის სხვა ორგანოს წევრი.

9.6. სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია მხოლოდ ყრილობის წინაშე.

## 10. პარტიის ფინანსები

10.1. პარტიის ფინანსური წყაროებია: სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები, ნებაყოფლობითი შემოწირულობანი, საგამომცემლო საქმიანობითა და პარტიის სიმბოლიკის გავრცელებით შემოსული თანხები.

10.2. პარტიის ფულად სახსრებს პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად განკარგავს სამდივნოს წევრი, რომელიც ხელმძღვანელობს პარტიის ორგანიზაციულ საქმიანობას.

## 11. პარტიის სიმბოლიკა

11.1. პარტიის სიმბოლიკას შეიმუშავებს პოლიტიკური საბჭო და ამტკიცებს დარბაზი.

## 12. პარტიის რეორგანიზაცია, ფუნქციონირების შეჩერება და თვითლიკვიდაცია.

12.1. მხოლოდ პარტიის ყრილობაა უფლებამოსილი დამსწრე დელეგატთა ორი მესამედით:

ა) მოახდინოს პარტიის რეორგანიზაცია;

ბ) შეაჩეროს პარტიის ფუნქციონირება განსაზღვრული ვადით;

გ) მოახდინოს პარტიის თვითლიკვიდაცია და განსაზღვროს პარტიის ქონების შემდგომი ბედი.

# განცხადება

**საქართველოს** სახელმწიფოს მეთაურის და მის პირად წარმომადგენელთა მიერ ამ რამდენიმე თვის მანძილზე ხელმოწერილი დოკუმენტების გამო, რომლებიც, ჩვენის აზრით, ეწინააღმდეგებიან საქართველოს ინტერესებს, და იმის გამო, რომ მსგავსი დოკუმენტების ხელმოწერა გრძელდება, რაც განუწყვეტლად აღრმავებს საქართველოს დღემდე განცდილ სამხედრო და დიპლომატიურ წარუმატებლობათა შედეგებს, საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოს რესპუბლიკასთან ურთიერთობაში მყოფი ყველა ქვეყნის წინაშე, ქართველი ერის წინაშე და პარლამენტის წინაშე განვაცხადოთ შემდეგი: 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა თავისუფალი მრავალპარტიული არჩევნები რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. არჩევნების შედეგად ჩამოყალიბებული ხელისუფლება იყო ჩვენი ქვეყნის პირველი ლეგიტიმური ხელისუფლება 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის, ანექსიის და ძალადობრივი გასაბჭოების შემდეგ. ეროვნული ხელისუფლების მიერ დეკლარირებული მიზნები იყო საქართველოს რეალური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა.

1991 წლის დეკემბრის შემდეგ მოხდა საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების შეცვლა შეიარაღებული გადატრიალების ფორმით და დროებითი ხელისუფლების შექმნა, რომელმაც თავის ოფიციალურ დოკუმენტებსა და პოლიტიკურ განცხადებებში არ შეცვალა წინამავალი ხელისუფლების ძირითადი ლოზუნგები და საპროგრამო პუნქტები, სახელდობრ, საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და დემოკრატიის აღიარება სახელმწიფო პოლიტიკის როგორც საიმედლეო, ისე სამარადისო (ისტორიული) მიზნებად. 1992 წლის მარტში შეიქმნა ისევ არალეგიტიმური სახელმწიფო საბჭო, რომლის მეთაურად ასპარეზზე მოქმედი რიგი პიროვნებებისა და პოლიტიკური ჯგუფის მიერ — პირველ ყოვლისა, სამხედრო საბჭოს წევრის ჯ. იოსელიანის მიერ მოწვეულ იქნა რუსეთიდან ე.შევარდნაძე. თუმცა შევარდნაძის მმართველობითი პრაქტიკა პირველ თვეებში საგარეო წარმატებასთან ერთად, როგორიც იყო, სახელდობრ, საქართველოს საერთაშორისო იზოლაციის გარღვევა, შეიცავდა საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგოდ მიმართულ ნაბიჯებსაც, სახელდობრ, შეკავშირებულ ლაშქრობას სამეგრელოს რეგიონში 1992 წლის მარტში, რეფორმების ჩაუტარებლობას და ცხინვალის რეგიონში რუსეთის შეიარაღებული ძალების აღჭურვას სამშვიდობო ფუნქციით, რაშიც განსაკუთრებული სიცხადით თავი იჩინა შემდგომში სისტემად ქცეულმა მანკიერმა მიდრეკილებამ საქართველოს შინაგანი საქმეების უცხო ძალით მოგვარებისაკენ. ე.შევარდნაძისა და მისი გუნდის დეკლარირებული ოფიციალური იდეოლოგიაც ეროვნული თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის და დემოკრატიის აღიარებაზე იყო დამყარებული. ამავე საპროგრამო ფსეუდო-დებულებებით წარდგნენ ე.შევარდნაძე და მისი მოკავშირე პარტიები 1992 წლის არჩევნებზე და გაიმარჯვეს კიდეც, მიუხედავად საქართველოს მიერ გაგრის ზონაში განცდილი დიდი სამხედრო დამარცხებისა, რომელიც სამხედრო არაკომპეტენტურობასთან ერთად, საერთო აზრით და რეალურად, უდიდესი უპასუხისმგებლობითა და სისტემად ქცეული ღალატითაც იყო განპირობებული. 11 ოქტომბრის არჩევნების შედეგი კანონიერია და მის საფუძველზე შექმნილი პარლამენტიც კანონიერია, ვინაიდან არჩევნები სწორად ჩატარდა, მიუხედავად მათი ისეთი ვოლუნტარისტული ელემენტისა, როგორიც იყო პარლამენტის თავმჯდომარის პარლამენტისაგან ცალკე შეტანა საარჩევნო ბიულეტენში. ასევე, თავისი უფლებამოსილების საზღვრებში დარჩა საქართველოს პარლამენტი, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარეს ე.შევარდნაძეს მიანიჭა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ფუნქცია, ხოლო შემდეგ — დამატებითი უფლებამოსილებები, რომლებიც მას დღეს აქვს. მაგრამ ამის შემდეგ დაიწყო სახელმწიფოს მეთაურის მიერ ახალ-ახალი უფლებების მისაკუთრების, ანუ მის მიერ დამატებითი ხელისუფლების თანდათანობითი უზურპირების პროცესი, რომელსაც ხშირ შემთხვევაში თან ახლდა ამ უზურპირებული ხელისუფლების გამოყენება საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგოდ, აგრეთვე სახელმწიფოს მეთაურის კანონიერ უფლებამოსილებათა გამოყენება იმის საწინააღმდეგო მიმართულებით, რაც მის საარჩევნო პროგრამაში იყო დეკლარირებული, სახელდობრ, საქართველოს თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და დემოკრატიის საწინააღმდეგო მიმართულებით. კერძოდ:

1. წინააღმდეგ პარლამენტის არჩევნების დებულებისა და კანონისა პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ, რომელნიც კრძალავენ პარლამენტის წევრობის შეთავსებას გარკვეულ თანამდებობებთან, სახელმწიფოს მეთაურმა დანიშნა პარლამენტის ორი ათეული წევრი ასეთ შეუთავსებელ თანამდებობებზე მათ მიერ დეპუტატის უფლებამოსილებების შენარჩუნებით. ამგვარად, მან გაზარდა პარლამენტში თავისი მხარდამჭერების რიცხვი.

2. ამავე დროს სახელმწიფოს მეთაურს თვეობით არ გამოაქვს პარლამენტზე დასამტკიცებლად მის მიერ უმნიშვნელოვანეს თანამდებობებზე დანიშნულ პირთა საკითხი. დღეს პარლამენტის დასტურის გარეშე საქმიანობს ეკონომიკის მინისტრი, სოფლის მეურნეობის მინისტრი, სოციალური უზრუნველყოფისა და შრომის მინისტრი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ელჩები მსოფლიოს ხუთ ქვეყანაში.

3. მან კანონის დარღვევით უგულებელყო ადგილობრივი არჩევნების შედეგად შექმნილი ორგანოების ვადის დამთავრება და არ ჩაატარა ახალი ადგილობრივი არჩევნები დღემდე, ვადის გასვლიდან შვიდი თვის მანძილზე, იმ მიზნით, რომ ადგილობრივი მმართველობა მოაქციოს თავის მიერ ერთპიროვნულად დანიშნული მმართველების ხელში და ამით უპირატესობა მოიპოვოს მომავალ არჩევნებზე.

4. მას ეკისრება პასუხისმგებლობა აჭარის უზენაესი საბჭოს მუშაობის უკანონოდ შეჩერებისა და მისი შედეგების გამო.

5. იგი უგულებელყოფს სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის 17-ე მუხლის მეექვსე პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს მეთაური მოვალეა წელიწადში ერთხელ პარლამენტს ანგარიში წარუდგინოს ქვეყნის შინაგანი და გარეგანი მდგომარეობის შესახებ.

6. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ და სახელმწიფოს მეთაურმა, მან ხელი მოაწერა CHГ-ს წესდებასთან საქართველოს შეერთებას, რითაც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ წავიდა და, გამოიყენა რა ზემოთ (პუნქტი I) აღნიშნული კანონდარღვევის წყალობით მიღებული რიცხობრივი უპირატესობა თავისი მომხრეებისა პარლამენტში, ხმათა უმრავლესობით მოახდინა ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია პარლამენტში, ამასთან დაარღვია კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ", როცა, ისევ თავისი ხელისუფლების გამოყენებით, ხმათა უბრალო უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება ისეთ საკითხზე, რომელიც კონსტიტუციურ თემას ეხება, კანონიერად აღიარა.

7. სახელმწიფოს მეთაურმა უგულებელყო საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 25 თებერვლის დადგენილება „აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის საჯარისო ნაწილების შესახებ", რომელშიც ნათქვამია: „1.დაუშვებლად იქნეს მიჩნეული აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის საჯარისო ნაწილების შემდგომი ყოფნა. 2. დაევალოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს სახელმწიფოს მეთაურს აწარმოოს მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან კონფლიქტის ზონიდან რუსეთის საჯარისო ნაწილების გაყვანის თაობაზე".

8. მან აგრეთვე არ შეასრულა საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 27აპრილის „რუსეთის ფედერაციის საჯარისო ნაწილების აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის თაობაზე" დადგენილების მოთხოვნები: „1. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მიმართოს რუსეთის პრეზიდენტს აფხაზეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანის თაობაზე.2. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში აფხაზეთის კონფლიქტის ზონა მდინარე გუმისთის ჩრდილო-დასავლეთით, რუსეთ-საქართველოს საზღვრამდე, ჩაითვალოს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა... შესაბამისი საკითხი დასვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული მექანიზმების ამოქმედებისათვის".

9. მან არ მიმართა არც გაეროს საჩივრით და არც რუსეთს — ნოტით საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებული შეიარაღებული აგრესიის გამო, რითაც რუსეთს ხელი გაუხსნა ამ აგრესიის გასაგრძელებლად და მის ნაყოფთა მოსამკელად. უფრო მეტიც — უკვე შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ მან გაეროს დაუდასტურა საქართველოს თანხმობა და სურვილი აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული შეიარაღებული ძალებისათვის სამოქმედო მანდატის მიცემისა გაეროს მიერ, რითაც, ფაქტობრივად, საქართველოს სახელით ინდულგენცია მისცა რუსეთს იმ მტრული მოქმედებებისათვის, რომლებსაც იგი განუწყვეტლივ აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ.

10. იმ ვითარებაში, როცა სოხუმის მდგომარეობა სახიფათო იყო, მაგრამ არა განწირული, მან დაუშვა თავისი წარმომადგენლების მიერ შეთანხმების ხელმოწერა სოხუმიდან საბრძოლო ტექნიკის გამოყვანის შესახებ, რითაც თითქმის ნულზე იქნა დაყვანილი ქართული არმიის ხელში სოხუმისა და მთლიანად აფხაზეთის დარჩენის ალბათობა.

11. იმ პირობებში, როცა აღარ არსებობდა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ქართველი მხარის სამხედრო მდგომარეობის გაუარესების, ანუ მოწინააღმდეგის შემდგომი შემოტევის პერსპექტივა, მან დაუშვა მისი წარმომადგენლების მიერ შეთანხმების ხელმოწერა ენგურზე რუსეთის „სამშვიდობო" ჯარების განლაგების შესახებ, რითაც საქართველოს აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებზე ზემოქმედების ყოველგვარი შესაძლებლობა მოუსპო, ქართველი მოსახლეობის გენოციდის პროცესის ჩათვლით.

12. ე.შევარდნაძემ დაუშვა მისი წარმომადგენლების მიერ დოკუმენტის ხელმოწერა აფხაზეთიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების უპირობოდ გამოყვანის შესახებ, აფხაზეთის მხარის იმავდროული განიარაღების პირობის გარეშე, რითაც პირობები შეექმნა როგორც ქართველების გენოციდის გაგრძელებას, ისე კოდორის ხეობის მოსახლეობისა და შეიარაღებული ძალის განადგურებას, დაუშვა აგრეთვე მათ მიერ დოკუმენტის ხელმოწერა, რომელიც აფხაზეთის სტატუსის საკითხის საქართველოსთვის მიუღებელი რეგულირების პერსპექტივას ქმნის.

13. მან არ მოსთხოვა — წინააღმდეგ საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა კუპონის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად დაშვების შესახებ — რუსეთის მთავრობას, რომ საქართველოში მდგომ რუსეთის შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას ხელფასი მიეცეს მხოლოდ კუპონებით, რითაც ხელი შეუწყო ქართული კუპონის გაუფასურებას, საქართველოს ეკონომიკურ ნგრევას და კუპონის მქონე მოსახლეობის შიმშილობას.

14. სახელმწიფოს მეთაური და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ადგას ცალმხრივსა და ცალსახა ორიენტაციას რუსეთზე შეიარაღებულ ძალთა მშენებლობის საქმეში, რაც რუსეთს საშუალებას აძლევს როგორც შეიარაღების, ისე ტაქტიკის სფეროში საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან შედარებით მუდმივად უზრუნველყოს ნებისმიერი შეიარაღებული ჯგუფის უპირატესობა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ნებისმიერ დროს მიაყენოს დამარცხება საქართველოში მაცხოვრებელთა ან უცხოთა ნებისმიერი რაზმის მხრიდან.

15. სახელმწიფოს მეთაური მოლაპარაკებას აწარმოებს რუსებისათვის სამხედრო ბაზების გადაცემის შესახებ. ამით ირღვევა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის შესახებ კანონის მეორე მუხლის „ა" და „ბ" პუნქტები, რომელთა ძალითაც ა) საქართველო ნეიტრალიტეტის ქვეყანაა და ბ) საქართველო თავის დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს მთელ თავის მიწა-წყალზე იცავს საკუთარი ძალებით.

ზემომოცემული ჩამონათვალის 4-15 პუნქტებში აღნიშნული მოქმედებები საფუძველს იძლევიან დასკვნისათვის, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ე. შევარდნაძის პოლიტიკა საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა სფეროში განსაზღვრულია არა საქართველოს ინტერესებით, არამედ რუსეთის ინტერესებით, უცხო ძალასთან შეთქმის შედეგად. რის გამოც იგი უცხო ძალის მიერ თავს მოხვეულ პოლიტიკად უნდა ჩაითვალოს. ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგება ბატონ ე. შევარდნაძის საარჩევნო პროგრამას, რომლის მიხედვითაც მას ხმა მისცა ამომრჩეველმა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებზე და ამგვარად, იგი არ გამოხატავს ამომრჩევლის ნებას. ხსენებულ გარემოებათა გამო, ბ-ნ ე.შევარდნაძის და მისი პირადი წარმომადგენლების ხელმოწერა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მარეგულირებელ დოკუმენტებზე, სახელდობრ, დაგომისის შეთანხმებაზე, 4 აპრილის და 14 მაისის შეთანხმებებზე, დსთ-ის წესდებასთან საქართველოს შეერთებაზე, დეზავუირებულ უნდა იქნეს, ხოლო დოკუმენტები— ბათილად ცნობილი.

საქართველოს გაერთიანებული
რესპუბლიკური პარტია,
საქართველოს პარლამენტის
ფრაქცია „რესპუბლიკელები"

* * *

საზოგადოებისათვის ცნობილია გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის აზრი ე. შევარდნაძის მმართველობის შესახებ. ამ პარტიას მიაჩნია, რომ ამ მმართველობის ყოველი საათი აღრმავებს ჩვენს კატასტროფას, მაგრამ წინამდებარე განცხადებაში ლაპარაკი არ არის არც შევარდნაძის გადადგომის ან თანამდებობაზე დარჩენის შესახებ, ვინაიდან მას სხვა კონკრეტული თემა აქვს.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
ქეთი დავლიანიძე, ბელა ებანოიძე,
ნინო ზამთარაძე, ბია თვალავაძე,
ირმა ლომაური, ნინო ფაცურია
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ: რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი
300 000 კუპონი